ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

jhif,fsb7 ^ fudbcnj7 @)!@

1185 (5875)

afcb5 #) stshb

## „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ყველასთვის საინტერესო იქნება“

გვ.2

# ბიძინა ივანიშვილი: კარგად შემოგვხედოს სააკაშვილმა, რამდენი ვართ!“

გვ.3



„ქართული ოცნების“ მორიგი აქცია გაიმართება რუსთავში 19 აგვისტოს





## ილია II: გთხოვთ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე!“

პატრიარქმა ტაძარში ქცევის წესებზე იქადაგა

გვ.2



## გელა ნიკოლეიშვილი: ბაჩო ახალაიამ მერაბიშვილის ქონების წარმომავლობის შესწავლა დაიწყო“

გვ.5



## გია გვაზავა: 2008 წლის აგვისტო აღარ გამეორდება“

რატომ გვაბრალებენ აფხაზები ბიოლოგიური იარაღის შექმნას

გვ.6

## თრუსოს ხეობაში ტრავერტინებს განადგურება ემუქრება



გვ.7

## რატომ არ პასუხობს კალმახელიძე ადვოკატების კითხვებს

გვ.4



## გიორგი თევზაძე: სკოლებში მანდატურები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ“

გვ.4




ISSN 1987-9385
9 771987 938006

**6** ჟურნალისტი ნათია როყვა პოლიციისგან მისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამოძიებას ითხოვს

**2** გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ კახეთში მომხდარ სტიქიას ხელისუფლება პიარის ნაწილად იყენებს

**5** ბეთქილ შუკვანი გია უდესიანის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს არ აპირებს

**5** ეკა ბერიძის ვაჟს, ბექა ჯიბლაძეს, ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს

კევ]ბ ობსტკბ .დბსტკბ იფდბ

# ილია II: გთხოვთ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე!“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ერს სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს.

როგორც გუშინ სამების საკთადრო ტაძარში, საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ უწმინდესმა აღნიშნა, ახლა ისეთი დროა როცა დიდი და პატარა პოლიტიკაზე მსჯელობს და პოლიტიზებულია.

პატრიარქის თქმით, ეს ყველაფერი ერმა უნდა მიანდოს უფალს, თვითონ კი სულზე, სასუფეველსა და საკუთარ ოჯახზე იფიქროს.

„მინდა გთხოვოთ ყველას, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოთ. ყველაფერი ღვთის ნებას მივანდოთ. ღმერთს, როგორც უნდა ისე იქნება. ვიფიქროთ სულზე, სასუფეველზე, ჩვენს ოჯახებზე და შვილებზე რათა ჩვენი სულიერი და მატერიალური შრომით ვცხონდეთ“ – ბრძანა ილია II.

პატრიარქმა გუშინვე რამდენიმე სასულიერო პირი დამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილოდვა და რამდენიმე ქართული გვარი დალოცა.

ნიუსპრესი

## პატრიარქმა ტაძარში ქცევის წესებზე იქადაგა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გუშინ, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ტაძარში მოქცევის წესებზე იქადაგა.

პატრიარქმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ დღეს ეკლესიაში ბევრი ახალგაზრდა დადის, რომლებმაც უფლის სახლში მოქცევა უნდა იცოდნენ.

„სტუმრები რომლების უცხო ქვეყნებიდან ჩამოდიან ხშირად კითხულობენ, თუ რატომაა ქართული ტაძრები სავსე ახალგაზრდებით, რა საიდუმლოება არსებობს, რომ ეს ხალხი ტაძარში მოვიდა. ჩვენ არავითარი საიდუმლოება არ გვაქვს. თქვენ ღვთის განგებით და ღვთის ნებით მოხვედით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ ღვთის სახლში რა უნდა ვაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ“ – მიმართა ახალგაზრდებს უწმინდესმა. ნიუსპრესი

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე თურქეთის 4 მოქალაქე დააკავეს

სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა თურქეთის 4 მოქალაქე დააკავეს.

ილმაზ აიჰანი, ჰოს მიჰიტინი, კაია ასკინი და ავსარ ტოპკუ ვალეში, №2 სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე აიყვანეს.

ისინი სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას ცდილობდნენ.

სასაზღვრო პოლიციის ცნობით, დაკავებულები შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის ახალციხის საგამოძიებო-ოპერატიულ განყოფილებას გადაეცა.

ნიუსპრესი

## გამოკითხულთა 60% მიიჩნევს, რომ კახეთში მომხდარ სტიქიას ხელისუფლება პიარის ნაწილად იყენებს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ ვებგვერდზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება კახეთში მომხდარი სტიქიას, პიარის ნაწილად იყენებს.

კითხვაზე – „ მიგაჩნიათ თუ არა, რომ კახეთში მომხდარ სტიქიას ხელისუფლება პიარის ნაწილად იყენებს“, მონაწილეთა 60 %-მა დადებითი პასუხი, 35,6 %-მა კი უარყოფითი პასუხი გასცა.

ამასთან კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილეთა 4,4%-ს გაუჭირდა.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ შემდეგი გამოკითხვის თემა იქნება „ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არჩევნების შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირების რისკი გაიზრდება?“

ნიუსპრესი

# საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ყველასთვის საინტერესო იქნება“

**საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის შექმნაზე მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტი, მეუფე ანანია ჯაფარიძე 20 წლის განმავლობაში მუშაობდა.**

**სქელტანიანი გამოცემა თავის დროზე შეზღუდული რაოდენობით გამოიცა.**

**ახლა კი გამომცემლობა „გუმბათმა“ გადაწყვიტა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ოთხტომეული გამოსცეს და მკითხველს შესთავაზოს.**

**ამასთან დაკავშირებით გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, ჩვენს მოქალაქეებს თავიანთი აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.**

ნათია ხურცილავა

**მაია ნათაძე, პროფესორი:**

– ინიციატივა, რომელსაც ჟურნალ-გაზეთები გვთავაზობენ, გამოვლინებაა ჩვენს საზოგადოებაში ბოლო ხანებში გაჩენილი ტენდენციის, რომელიც ჩემს თვალში უაღრესად სასარგებლოა არაერთი მხრივ. გარდა იმისა, რომ იდეა მნიშვნელოვანია შინაარსობრივად, რადგან გააცნობს ფართო საზოგადოებას ინფორმაციას, რომელსაც მოკლებული იყო თითქმის საუკუნოვანი აქტიური ათეიზმის პერიოდში, მნიშვნელოვანია ეს წამოწყება ასევე ტექნიკურადაც. ეს ტენდენცია პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს, რომ გამოცემა უფრო ხელმისაწვდომი იყოს მკითხველისთვის, მან წიგნი უფრო იაფად შეიძინოს. ეს კი შესაძლებლობას უქმნის ახალგაზრდობას, რომელიც, რაღა დასამალია და მაინცდამაინც დიდ ინტერესს აღარ იჩენს წიგნის მიმართ, ტელევიზორის, ინტერნეტისა და სხვათა გამო იყიდოს წიგნი. რაც უფრო იაფი და ხელმისაწვდომია წიგნი, მით უფრო მეტი შანსია, რომ ახალგაზრდა, რომელსაც, ვიმეორებ, დიდად არ უღირს, წიგნი იყიდოს და წაიკითხოს კიდეც.

**დავით მუსხელიშვილი, აკადემიკოსი:**

– რასაკვირველია, წიგნის გამოცემას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერი წიგნის გამოცემა საშური საქმეა, მით უფრო წიგნის, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ისტორიას, საქართველოს კულტურის ისტორიას ან ქართველი გამოჩენილი მოღვაწეების შესახებ მოგვითხრობს. ასეთ გამოცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ახალგაზრდა თაობის აღზრდისთვის. თითქოს ამ ბოლო დროს მკითხველი გაიზარდა. მომრავლდა მკითხველი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება, პატრიოტული, გნებავთ, მეცნიერული, მხატვრული ღირებული ნაშრომი გამოვიდეს. საერთოდ, ასეთი გამოცემები ხელს უწყობს ახალგაზრდების გემოვნებისა და კულტურის აღზრდას.



***– ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, ყოველდღიური გამოცემების მიერ აპრობირებული მეთოდი, რომ წიგნები ჩადონ ჟურნალ-გაზეთებში, მკითხველს მოაბრუნებს წიგნისკენ?***

– ერთი რამ ვიცი, რომ წიგნები, რომლებიც გაზეთებში იდება, იყიდება, ხალხი კითხულობს. ამის მაგალითად შემიძლია დავასახელო საქართველოს ისტორიის ოთხტომეული, რომლის ერთ-ერთი თანაავტორი ვარ. როგორც ჩანს, ბოლო წლებში ახალგაზრდობა წიგნით დაინტერესდა, მე ვიტყოდი, ჩვენი ქვეყნის ისტორიითა და კულტურით, რადგან ამ ტიპის წიგნები იყიდება. ეს ძალიან კარგი წამოწყებაა და, რა თქმა უნდა, რომ ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, რაც შეიძლება მეტი იკითხონ.

**გიორგი კეკელიძე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი:**



– მე ვფიქრობ, ტენდენცია, რომელიც დაახლოებით ოთხი წლის წინ დაიწყო, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანები, რომლებიც კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, ეს იქნება ჩვეულებრივი თუ ყვითელი პრესა, თუნდაც მათ არ ჰქონოდათ გარკვეული ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი, თვალს მაინც შეავლებდნენ, ან ირიბი გზით მაინც ნათესავი, ახლობელი გაეცნობოდა ამ ყველაფერს. ზოგადად, როგორც ვიცი, ამ სტრატეგიამ წიგნის ბიზნესის თვალსაზრისით იმდენად გაამართლა, რომ 50 პროცენტით მოიმატა წიგნების გაყიდვამ. თავისთავად, ეს პრაქტიკა საზღვარგარეთაც არსებობდა და ძალიან კარგია, რომ გადმოიღეს, დანერგეს, რადგან ერთადერთი გზა არის დღეს წიგნის მასობრივი გავრცელების.

***– ზოგადად წიგნის გამოცემა კეთილშობილური საქმეა, მით უფრო სამოციქულო ეკლესიის ისტორიის, თქვენ, როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის მესვეურს გეკითხებით, ახალი გამოცემები თქვენთან ხვდება ხოლმე.***

– თავისთავად, ჩვენთვის ნებისმიერი ამ ტიპის გამოცემა მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ნაციონალურ ბიბლიოგრაფიას ვინახავთ. რასაკვირველია, გაგვიხარდება, რაც მეტი ამ ტიპის გამოცემა იქნება, დიდი სიამოვნებით დაუთმობთ საპატიო ადგილს.

**ნინო ასათიანი, მოქალაქე:**

– წიგნის გამოცემა, მით უფრო, ასეთი წიგნის, მართლაც დიდი ბედნიერებაა. ამ ბოლო დროს ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა სახის წიგნი გვხვდება. მე ეს ძალიან მომწონს, ძალიან კარგი იდეაა. ყოველდღიურად თვალში გხვდება სხვადასხვა გამოცემები, ადამიანს, გინდა თუ არ გინდა, გაქვს თუ არა შესაძლებლობა, გინდება, რომ იყიდო და მერე, რასაკვირველია, როდესაც ფული გაქვს ამ დუხჭირ დროს გადახდილი, გინდა, წაიკითხო კიდევაც. წიგნები, რომლებიც ჟურნალ-გაზეთებთან იყიდება, ბევრად უფრო იაფი ღირს, ვიდრე შეხვიდე ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში და იქ ნახო ზუსტად იგივე წიგნი. ასეთი გამოცემები ბევრად უფრო პოპულარულია, ხალხი უფრო ყიდულობს. ჩემ ირგვლივ სამეგობროში თუ საახლობლოში სხვადასხვა გამოცემას ყიდულობენ. ვერ წარმოიდგენთ, როგორი მოლოდინია ამ წიგნების მიმართ. ახლა მოუთმენლად დაველოდები ამ გამოცემასაც, რადგან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია ყველა ოჯახში უნდა იყოს და ყველა ქართველს უნდა ჰქონდეს წაკითხული. რაც არ უნდა ღირდეს, აუცილებლად ვიყიდი.

**გიორგი ლამბაშიძე, მეცნიერი:**

– მე ძალიან მიყვარს წიგნის კითხვა. სხვა პოზიციიდან ჩემი თავი ვერც წარმომიდგენია. წიგნის კითხვისა და შეფასების დიდი სტაჟი მაქვს. წიგნის კითხვასაც ერთგვარი გამოცდილება სჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურა, იმ ტიპის ლიტერატურა, რომელზეც თქვენ მითხარით, ჩემი ინტერესის სფეროა. საერთოდ, წიგნი ყველა ქვეყანაში ძვირი ღირს, მაგრამ ჩვენთან ადამიანებს როდესაც პურის ფული არ აქვთ, ოჯახებს ვერ არჩენენ, წიგნის ყიდვას და მერე მის წაკითხვას ვერ მოსთხოვ. იყო დრო, როდესაც თბილისში, ბუკინისტებში, არაჩვეულებრივი გამოცემები ადამიანებს ერთი პურის ფასად გამოჰქონდათ. სხვათა შორის, მაშინ მაქვს ნაყიდი არაჩვეულებრივი, უძველესი გამოცემები შეძენილი. რაღაცნაირად ადამიანები წიგნის კითხვას დაუბრუნდნენ და ეს მართლაც გასახარია, თორემ, იყო დრო, როდესაც, მაგალითად, მოსკოვში ქართველ ბუკინისტებს სიხარულით ელოდნენ, იცით, რატომ? იმიტომ რომ ჩვენგან სულ ახალთახალი, გადაუშლელი წიგნები ჩადიოდა და რუსებს უხაროდათ. კითხვა რომ დაიწყონ ადამიანებმა, პირველ რიგში, წიგნები უნდა გამოიცეს და შემდეგ კატასტროფული ფასიც არ უნდა ღირდეს. ბოლო დროის ტენდენცია, რომ ყოველდღიურმა გამოცემებმა ჩადონ წიგნები და ასე გაყიდონ, მართლაც კარგი მიგნებაა. რაც შეიძლება მეტი წიგნი უნდა გამოიცეს, ეს ერის მახასიათებელიც შეიძლება იყოს. ისე, ცოტა ხნის წინ პარიზსა და ბელგიაში გახლდით და ქუჩებში, სადაც ჟურნალ-გაზეთების სტენდები დგას, იქვეა წიგნებიც და სწორედ ასეა დაფასოებული. ეს კარგია, ადამიანს ყოველდღიურად უნდა მოხვდეს თვალში წიგნი, ნებისმიერი ლიტერატურა, რომ ის უფრო ჰუმანური გახდეს, უფრო განათლებული. ჩემთვის, პირადად, ასეთ გამოცემებს სწორედ ეს დატვირთვა აქვს.

# მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიაში ახალი აკვაპარკი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანაკლიაში ახალი აკვაპარკი გახსნა, რომელიც კანადურმა კომპანიამ დააპროექტა.



თანამედროვე სისტემებით აჭურვილი აკვაპარკი პრეზიდენტმა ეკონომიკისა და მდგარადი განვითარების მინისტრთან ვერა ქობალიასთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად დაათვალიერა.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ანაკლია ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე გაუბედურებული და უპერსპექტივო ადგილი იყო, ახლა კი ინფრასტრუქტურა ვითარდება და უამრავი სასტუმრო შენდება, სადაც ადგილობრივები დასაქმდებიან.

„გამოდიან გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები და ამბობენ, რომ მესტიაში გზა არ შეძლება, თურმე გზამ დაანგრია მესტია და აეროპორტი სვანეთის შეურაცხყოფაა. არ ვიცი რა ვუთხრა ამ პოლიტიკოსებს. რომ ზიხარ თბილისში კაბინეტში, კარგს ჭამ, კარგს სვამ, კარგი ხელფასი გაქვს, მაგარია იქედან მსჯელობა. ხალხი კი 16 საათის განმავლობაში მიჩაქჩაქებს იმ გზაზე. მათ ისეთი პოლიტიკური პლატფორმა აქვთ, თითქოს მშენებლობა ჩვენთვის ცუდია და ვკარგავთ ჩვენს ავთენტურობას. თითქოს ჩვენი ავთენტურობა უგზოობა, უიმედობა და კრიმინალი იყოს“– განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს რუკაზე გაჩენილმა ახალი კურორტებმა მოსახლეობას პერსპექტივა გაუჩინა.

ნიუსპრესი

## თერჯოლის რაიონში დაზიანებული ხიდის აღდგენა-გამაგრება დაიწყო

თერჯოლის რაიონში დაზიანებული ხიდის აღდგენა-გამაგრება დაიწყო. ხიდი სოფლებს ზედა და ქვედა სიმონეთს, ნახშირღელეს და ბარდუბანს ე.წ აჯამეთის მიწებთან აკავშირებდა.

მიწებს ადგილობრივი მოსახლეობა სახნავ-სათესად და საძოვრებად იყენებდა, თუმცა დაზიანებული ხიდის გამო ტერიტორიაზე მისვლა ადგილობრივებს შემოვლითი გზით უწევდათ.

შეგახსენებთ, რომ ადგილზე სამი კვირის წინ საქართველოს პრემიერ– მინისტრი იმყოფებოდა და მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
[illegible]
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
[illegible]

# ბიძინა ივანიშვილი: კარგად შემოგვხედოს სააკაშვილმა, რამდენი ვართ!“

თეა მარხვაიძე

**გუშინ მთელი საქართველოს ყურადღება ბათუმისკენ იყო მიპყრობილი, სადაც „ქართული ოცნების“ აქცია გაიმართა. ვარაუდობდნენ, რომ აქცია მშვიდად ჩაივლიდა. ვარაუდი არ გამართლდა. აქციის წინა დღეს სერიოზული ინციდენტი მოხდა აჭარაში.**



შაბათს სოფელ ბეშუმში შუამთობა გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო. არადა, პრეზიდენტს შატილშიც ელოდნენ. ხევსურეთში იმავე დღეს სახალხო დღესასწაული შატილობა იმართებოდა.

პრეზიდენტის პარალელურად, ბეშუმში ავიდა ბიძინა ივანიშვილიც. მასთან ერთად „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებიც იყვნენ. მეოცნებეთა მცდელობა, შეხვედროდნენ მოსახლეობას, კრახით დასრულდა.

ივანიშვილი და მისი მომხრეები ნაციონალებმა ალყაში მოაქციეს და ხალხთან მისვლის საშუალება არ მისცეს. ნაციონალებსა და მეოცნებეებს შორის შეხლა-შემოხლაც მოხდა. ივანიშვილმა მომხრეებს უკან დაბრუნებისკენ მოუწოდა.

ამ ინციდენტის შემდეგ საგანგებო ბრიფინგი გამართა მურმან დუმბაძემ. მან ბეშუმის ინციდენტის მონაწილეები დაასახელა. დუმბაძის მტკიცებით, მეოცნებეებისთვის გზა ადგილობრივ მოსახლეობას არ გადაუკეტავს.

— ბეშუმის ინციდენტს ძირითადად ხელვაჩაურის საკრებულოსა და გამგეობისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ხელმძღვანელობდნენ. ჩვენთვის მათი ვინაობა ცნობილია. ისინი არიან: ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ ფარტენაძე; ხელვაჩაურის გამგებელი თეიმურაზ დუმბაძე; ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კახაბერ სირაბიძე; ხელვაჩაურის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნუგზარ ბოლქვაძე; ხელვაჩაურის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე თამაზ ლორთქიფანიძე; ხელვაჩაურის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ბოლქვაძე; ხელვაჩაურის საკრებულოს სამაშველო-სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელი გია ცისკარიძე; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სატყეო და სახანძრო სამსახურის თანამშრომლები. ინციდენტში მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები. ინციდენტში ასევე მონაწილეობდნენ: აჭარის კუდ-ის მთავარი სამმართველოს უფროსი თემურ პატარიძე; აჭარის კუდ-ის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ალეკო ბალაძე; კუდ-ის ხულოს სამმართველოს უფროსი მინდია ყურშუბაძე; კუდ-ის სპეცდანიშნულების რაზმი; შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმი. გზის ჩახერგვას ხელმძღვანელობდა სამთავრობო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ვახტანგ კაზაზიშვილი და ხულოს გამგებელი თემურ ბოლქვაძე, — აღნიშნა მურმან დუმბაძემ.

ამ ინციდენტმა აქციაზე არ იმოქმედა. როგორც მეოცნებეები ამტკიცებენ, ამან ხალხის გაღიზიანება გამოიწვია და კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა მოინდომა აქციაზე მისვლა.

აქციისთვის სამზადისი გუშინ დილიდან დაიწყო. აქციის ჩასატარებლად მეოცნებეებს „ანბანის კოშკის“ მიმდებარე ტერიტორია გამოუყო. ეს ადგილი აქციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე უკვე ხალხით იყო სავსე. ოცნების ლიდერები ხალხის სიმრავლით ძალიან კმაყოფილნი იყვნენ.

კმაყოფილნი იყვნენ თავად აქციის მონაწილეებიც. მართალია, ბათუმში წვიმდა, მაგრამ ამის გამო საოცრებათა მოედნიდან არავინ წასულა. ისინი ივანიშვილის გამოჩენას ოვაციებითა და ტაშით შეხვდნენ. ხალხი „ბიძინა, ბიძინას“ რამდენიმე წუთის განმავლობაში სკანდირებდა.

მისი გამოსვლა ხარვეზებით დაიწყო, რაც მიკროფონის ბრალი იყო. მიკროფონმა ბიძინას გუშინ რამდენჯერმე უმტყუნა.

თავისი გამოსვლა ივანიშვილმა 4 აგვისტოს ბეშუმში მომხდარი ინციდენტის კომენტირებით დაიწყო.

— კარგად შემოგვხედოს სააკაშვილმა, რამდენი ვართ. კარგად შემოგვხედოს ამ მშიშარა კაცმა, რომელიც საკუთარ ხალხს პირისპირ ვერ ელაპარაკება, ზონდერებით გულგამაგრებული ყელყელაობს და უნიჭო წარმოდგენებს მართავს. მეგონა, ის ველარ გაგვაკვირვებდა. მან ხომ ყველაფერი იკადრა. მაგრამ იმას, რაც მან გუშინ მოაწყო, ვერ წარმოვიდგენდი. მინდოდა, შუამთობაზე მისულიყავი და ხალხისთვის მიმელოცა ეს დღესასწაული. იმ დღესასწაულზე ადგილობრივები არ ყოფილან, სახლში იყვნენ შეკეტილი და იქიდან გვიცხადებდნენ მხარდაჭერას. დღესასწაულზე დასასწრებად სხვადასხვა რაიონიდან გამგეობის თანამშრომლები ჩამოიყვანეს. იქვე იყვნენ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციის თანამშრომლები. ისინი წინ აღგვიდგნენ და მთაზე არ აგვიშვეს. მოხდა შეხლა-შემოხლა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სერიოზულ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. იმდენი გააკეთეს, რომ სახალხო დღესასწაული ნაციონალური მოძრაობის აქციად გამოაცხადეს. მაგრამ არც ეს გამოუვიდათ. სააკაშვილმა რომ გაიგო, იქ ვიყავი, სიტყვა შუაზე გაწყვიტა და კურდღელივით გაიქცა, უფრო სწორად, ვერტმფრენით გაფრინდა, — განაცხადა ივანიშვილმა.

მან სააკაშვილი ხალხის ერთმანეთთან დაპირისპირებაში დაადანაშაულა. მეოცნებეთა ლიდერმა მესტიაში მომხდარი ინციდენტიც გაიხსენა. ივანიშვილი შეშფოთებულია იმით, რომ ხელისუფლებამ ეკლესიაშიც შეიტანა განხეთქილება.

მისი თქმით, ხელისუფლება და მისი მომხრე ტელევიზიები ქება-დიდებას არ აკლებენ იმ მღვდელმთავრებს, რომლებიც მათ მიმართ კეთილად არიან განწყობილი. სამაგიეროდ, ლანძღავენ იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ოცნებას უჭერენ მხარს.

ივანიშვილი პირობას დებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში სახელმწიფო ეკლესიის საქმიანობაში აღარასდროს ჩაერევა.

მეოცნებეთა ლიდერმა იმ ბრალდებებზეც ისაუბრა, რომლებსაც მას ხელისუფლება უყენებს.

— რამდენი რამე დამაბრალეს. მე თურმე საბჭოთა კავშირი მენატრება, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, საბჭოთა პერიოდი და საბჭოური აზროვნება დღემდე არსებობს.

— საბჭოური აზროვნება დღემდე ცოცხალია. ნაციონალები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან იმათ. დააკვირდით სააკაშვილს და უზუსტეს მსგავსებას ნახავთ, — აცხადებს ოპოზიციის ლიდერი.



მან ამის კონკრეტული მაგალითებიც მოიყვანა, გაიხსენა მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა. 2 დღის წინ სააკაშვილმა განაცხადა, ეგღა მაკლია, ეს ქვეყანა ოპოზიციას გადავაბაროო. ივანიშვილი ხალხს მოუწოდებს, ამ განცხადებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

— გააფთრებით გაჰკივის სააკაშვილი, ეგღა მაკლია, ეს ქვეყანა ვინმეს გადავაბაროო. ასეთი განცხადების გაკეთებას ვერც ერთი ქვეყნის ლიდერი ვერ გაბედავს. სააკაშვილი კი საჯაროდ ამბობს, არსად არ წავალო. ასე მხოლოდ საბჭოთა კავშირში იქცეოდნენ, — აღნიშნავს ივანიშვილი.

მისი თქმით, არც საბჭოური მექრთამეობა გამქრალა. ამბობს, რომ ეს მექრთამეობა ელიტურმა კორუფციამ შეცვალა. მისი თქმით, დღეს ბიუჯეტს სამი კაცი — სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი განკარგავენ.

ამბობს, რომ მისი წარმატება მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ საბჭოეთს მოეღო ბოლო.

მასზე ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში რუსეთის შემოყვანა უნდა. ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ის არჩევნების შემდეგ რუსულ არმიას შემოუძღვება.

— მე მაბრალებენ, რომ რუსული ჯარის შემოყვანა მინდა. ამან უკვე შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარი. რუსული ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე ამათი წყალობით უკვე დგას, — ამბობს ივანიშვილი.

ის გვპირდება, რომ საქართველოში მალე ყველაფერი კარგად იქნება.

— ჩვენ დავასრულებთ საქართველოში საბჭოეთის ეპოქას, უსამართლობასა და უნამუსობას. ხალხო, მოემზადეთ, საქართველოში პატიოსნების დრო მოდის, — აცხადებს ივანიშვილი.

თავისი გამოსვლისას მან ხალხს რამდენჯერმე მოუხადა ბოდიში, მოიბოდიშა იმის გამო, რომ ის სცენაზე მშრალად იდგა, აქციის მონაწილეები კი სველდებოდნენ.

მან ბევრი ისაუბრა ბათუმის მნიშვნელობასა და განსაკუთრებულობაზე. სააკაშვილის აშენებულიც შეაფასა. პრეზიდენტის ნამოქმედარს უგემოვნობა და უნიჭო მიმბაძველობა უწოდა.

ივანიშვილის თქმით, ხელისუფლებას რომ მოენდომებინა, ბათუმში ახლა ხალხს ბევრი შემოსავალი ექნებოდა. მას ვერ წარმოუდგენია, რომ აჭარაში შემოსავლის წყარო კაზინოები და ნახევრად ლეგალური საროსკიპოებია.

ისაუბრა იმაზეც, რომ ინვესტორები პატივს არ სცემენ ადგილობრივ მოსახლეობას. მისი თქმით, სამარცხვინოა, როცა საქართველოს მოქალაქეები საქართველოში დისკრიმინაციას განიცდიან.

ივანიშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შრომის კოდექსი შეიცვლება.

— ჩვენ შევცვლით შრომის კოდექსს. დამქირავებელი დაქირავებულის უფლებების დარღვევას ვეღარ გაბედავს. ეს მალე დამთავრდება. მე გპირდებით, რომ ბათუმელები წელგამართულები და ამაყად ივლით. თქვენ იქნებით პატრონი ამ ქალაქის და მხოლოდ წვიმა იქნება თქვენი მეტოქე, — მიმართა ივანიშვილმა ბათუმელებს.

ბათუმში დიდი ვნებათაღელვა მიმდინარეობს აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლება მზადაა, ეს მეჩეთი ააშენოს, სანაცვლოდ კი თურქეთი ტაო-კლარჯეთის ძეგლების აღდგენას გვპირდება.

მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომელსაც გრიფით საიდუმლოდ ადევს. აზიზიეს მეჩეთის აშენების გადაწყვეტილებას კინაღამ რელიგიური შუღლი მოჰყვა, თუმცა აჭარაში მცხოვრებმა ქრისტიანებმა და მუსლიმანებმა ეს არ დაუშვეს. ყველამ კარგად გააცნობიერა, რომ ეს იყო არა მეჩეთის, არამედ აზიზიეს მეჩეთის წინააღმდეგ მიმართული აქცია.

ივანიშვილი პირობას დებს, რომ თურქეთთან გაფორმებულ შეთანხმებას საჯაროს გახდის. გვპირდება, რომ ქართული ძეგლების აღდგენაც მოხდება თურქეთში და არც საქართველოს მოქალაქეების უფლებები დაირღვევა.

ივანიშვილმა სამუშაო ადგილებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოში უამრავი ინვესტიცია შემოვიდა. ამ ინვესტიციების სწორად განაწილების შემთხვევაში, საქართველოში 170 ათასი სამუშაო ადგილი უნდა შექმნილიყო.

— ასე არ მოხდა. მეტსაც გეტყვით, 2003 წლიდან დღემდე სამუშაო ადგილები 150 ათასით შემცირდა. ეს არის ოფიციალური ციფრები. სინამდვილეში კი უფრო ცუდადაა საქმე, — ამბობს ივანიშვილი.

ის დარწმუნებულია, რომ არჩევნებს მოიგებს. ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან სამართლიანობის აღდგენას დაიწყებს. ამტკიცებს, რომ პირველი ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლება ხალხის სამსახურში იქნება და არა პირიქით.

მან ბევრი ისაუბრა ჯანდაცვაზე, სოფლის მეურნეობაზე და ყველაფრის გამოსწორების პირობა დადო.

ბიძინა ივანიშვილმა აქციის მონაწილეებს შეკრებისთვის მადლობა გადაუხადა და მორიგი აქცია დააანონსა. მეოცნებეები 19 აგვისტოს უკვე რუსთავში შეიკრიბებიან.

## საქართველოში სადამკვირვებლო პროცესის დაწყების თარიღი უცნობია

გრძელვადიანი საერთაშორისო მონიტორების მიერ საქართველოში სადამკვირვებლო პროცესის დაწყების თარიღი უცნობია. საპარლამენტო არჩევნების თარიღი პირველ აგვისტოს გამოცხადდა, თუმცა ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, უცხოელი გრძელვადიანი დამკვირვებლები საქართველოში ამ დრომდე არ ჩამოსულან.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნების გრძელვადიან დაკვირვებას საერთაშორისო ორგანიზაციები: ენ-დი-აი და აი-ერ-აიც გეგმავენ.

„მედიანიუსთან“ საუბარში, ენ-დი-აიში განაცხადეს, რომ მათ არ აქვთ პასუხი კითხვაზე თუ როდის ჩამოდიან გრძელვადიანი დამკვირვებლები.

ცესკომ სადამკვირვებლო მისიებთან დაკავშირებით განცხადებების მიღება უკვე დაიწყო.

**მედიანიუსი**

## ზაზა პაპუაშვილი აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას ხელისუფლების აკვიატებას უწოდებს

= საწყენად არ ვიტყვი, უფრო ტკივილით გეტყვით — ეს ბათუმი ის ბათუმი აღარ არის, — ამის შესახებ ბათუმში მიმდინარე აქციაზე მთაწმინდის რაიონში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, მსახიობმა ზაზა პაპუაშვილმა განაცხადა.



მისი თქმით, ყველა ბათუმელისთვის, რომელთათვის ამ ქალაქის არქიტექტურა, იერსახე ძვირფასია, უბედურები არიან თავიანთ ქალაქში, ვეღარ ცნობენ თავიანთ ქალაქს. „ბათუმზე გადაღებულ კლიპებში სიმართლის ნატამალი არ არის, ბათუმს სულ სხვა რამე სჭირდება“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

მისი თქმით, ისეთი ტოლერანტული ქვეყანა როგორიც საქართველოა, იშვიათად თუ მოიძებნება, ხოლო ხელისუფლება მუდმივად ცდილობს პროვოკაციების მოწყობას.

„თუნდაც ეს აკვიატებული აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა, როდესაც საქართველოში 250 მოქმედი მეჩეთი არსებობს, როდესაც ინგრევა ფერიის ეკლესია. რა არის ასეთი აკვიატება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

მან ისაუბრა იმაზეც, თუ რატომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და მაჟორიტარად კენჭისყრა.

„მე მომბეზრდა ეს არაფრისმთქმელი, ლაჩრული სიცოცხლე, როდესაც ვუყურებ ამდენ ვაი პოლიტიკოსს, ქლესობას, ამაზრზენ სახეებს. მოვემზადოთ ბედნიერი მომავლისთვის, რომელიც სულ ცოტა ხანში დადგება“, — დასძინა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი თევზაძე: სკოლებში მანდატურები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ“

გულიკო ბალაძე

საქართველოს სკოლებში დირექტორებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მანდატურები აკონტროლებენ. ბევრი მათგანი საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევს.

რატომ წყვეტენ მანდატურები მოზარდების სკოლა-ინტერნატში გაგზავნის საკითხს და რა შედეგი მოჰყვება ამას? ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე მანდატურების ინსტიტუტს სკოლებში მასწავლებლისა და მოსწავლის უფლებების შელახვის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მიიჩნევს.




მისი თქმით, მანდატურებს დასაბუთების გარეშე დიდი უფლებამოსილება მიანიჭეს და ახლა უკვე, ფაქტობრივად, დირექტორის ფუნქცია აქვთ.

უფრო მეტიც, მანდატური დღეს სკოლებში აღიქმება, როგორც სადამსჯელო სტრუქტურა.

– სამწუხაროდ, დღეს უსაფრთხო სკოლები უფრო დიდი საფრთხის წინაშე დგანან. ეს არის უფლებაწართმეული მასწავლებელი და მოსწავლე და შიშის სინდრომი. სკოლასა და მასწავლებელს უნდა დაუბრუნდეს თავისი ფუნქცია, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის განცხადებით, უსაფრთხო სკოლის იდეა, ბუნებრივია, მისასალმებელია, მაგრამ ჩვენ ამით ერთი უკიდურესობიდან – სკოლებში ძალადობიდან და განუკითხაობიდან – მეორე უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ. სკოლა, ფაქტობრივად, ძალოვნების სრული კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

უფლებადამცველის ყურადღება ამ საკითხმა იმის გამო მიიქცია, რომ გახშირდა მოზარდების ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში გაგზავნა.

გიორგი თევზაძე მიიჩნევს, რომ სამტრედიაში ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში მოზარდების ერთი ხელის მოსვლით გადაგზავნა არ უნდა ხდებოდეს, რადგან ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში მოზარდების გაგზავნა მათ დემორალიზაციას იწვევს.

გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ დროა ხელისუფლებამ და განათლების სამინისტრომ გადახედონ მანდატურის ინსტიტუტს და, სკოლებში მათი უფლებამოსილების დაბალანსების მიზნით, რევიზია მოახდინოს.

***– ბატონო გიორგი, საუბრობენ იმაზე, რომ მანდატურების შესვლამ სკოლაში სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა გამოიწვია. მანდატურების სკოლებში შეყვანამ და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების უსაფრთხო სკოლის იდეამ არ გაამართლა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ შეილახა როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის უფლებები. თქვენი დაკვირვებით მანდატურების შესვლით სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების უფლებები შეილახა თუ ეს მავანთა გადაჭარბებული შეფასებაა?***

– სამწუხაროდ, მანდატურის ინსტიტუტი შემოღებული იყო იმისთვის, რომ აღმოეფხვრათ კრიმინალური ფაქტები სკოლაში. სკოლებში მოზარდების დაჭრის ფაქტები იყო. მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად შემოიღეს მანდატურის ინსტიტუტი. თუმცა, შემდგომ მანდატურის ინსტიტუტს სულ სხვა დატვირთვა მიეცა. მანდატურებს მისცეს საკმაოდ დიდი უფლებები. როგორც მშობლები და მასწავლებლები აცხადებენ, მანდატურებს სკოლაში სკოლის დირექტორებზე მეტი უფლებები აქვთ. სკოლაში არც ერთი საკითხი არ წყდება მანდატურთან შეთანხმების გარეშე. მანდატურს მიანდეს მოსწავლეების ბედი. უფრო მეტიც, მანდატურებს ბავშვების სამტრედიაში ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში გადაყვანის საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება მიანიჭეს.

***– ანუ, რეალურად, სკოლებში მანდატურის შეშვებით არსებულზე უფრო ცუდი ვითარება მივიღეთ?***

– მანდატურების სკოლაში შესვლით მივიღეთ ის, რომ გაიზარდა შიშის სინდრომი. მართალია, ბავშვებს შორის გარკვეული დაპირისპირებები შემცირდა, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიზღუდნენ ბავშვები. სკოლაში დაგვიანების გამო შეიძლება ისინი გაირიცხონ სკოლიდან. მანდატურს ეკითხებიან, ესა თუ ის მოსწავლე ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში გადაიყვანონ თუ არა. ცალკე დირექტორი ვერავითარ საკითხს ვერ წყვეტს მანდატურის გარეშე.

***– გამომდინარე აქედან, მასწავლებლისა და მოსწავლის უფლებები ილახება?***

– თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, კიდევ არაერთგზის შეილახება და უხეშად დაირღვევა პედაგოგის უფლებები.

***– მაშინ სკოლებში ვითარება როგორ უნდა დარეგულირდეს?***

– ვითარების გამოსწორება საჭიროა, მაგრამ, ვფიქრობ, აბსოლუტური ძალაუფლება გარყვნის მანდატურებს. ამ შემთხვევაში მანდატურებს ხელისუფლებამ აბსოლუტური ძალაუფლება მიანიჭა. ამიტომ ამ საკითხს უფრო მეტი დაფიქრება და დარეგულირება სჭირდება.

***– ფიქრობთ, რომ მანდატურის ფუნქციები მკვეთრად უნდა განისაზღვროს, მანდატურის ინსტიტუტს კი გადახედვა სჭირდება?***

– აუცილებელია განისაზღვროს მანდატურის ფუნქციები და ყველა სკოლა ერთიან რეგულაციაში მოექცეს, რადგან, როგორც ცნობილია, ქალაქ თბილისში ამერიკული ტიპის მოქმედ კერძო სკოლებში, სადაც ხელისუფლების გავლენიანი ხალხის შვილები სწავლობენ, მანდატურები არ არის. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა სკოლაში აუცილებელია მანდატური, მაშინ რატომ აქვს ადგილი განსხვავებულ მიდგომას იმ სკოლების მიმართ, სადაც თანამდებობის პირების შვილები სწავლობენ?

***– საზოგადოების ერთი ნაწილი მანდატურების ნაცვლად სკოლებში სასულიერო პირების შესვლას ითხოვდა. რამდენად რეალურია ეს?***

– ამაზე იყო საუბარი. ეს არის მნიშვნელოვანი თემა, როდესაც ბავშვების აღზრდასა და სულიერებაზეა საუბარი. რა თქმა უნდა, სასულიერო პირის შესვლა მიზანშეწონილია სკოლაში მოსწავლეების სულიერად და მორალურად აღზრდისათვის. თუმცა, ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი არ გადადგა. სკოლა ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვების სულიერ და პატრიოტულ აღზრდაზე. თუკი შესაძლებელი გახდება მანდატურების უფლებების საკანონმდებლო წესით დაბალანსება და მანდატურები ამ უფლებამოსილებას არ გადააჭარბებენ, ბუნებრივია, დადებით შედეგებს მივიღებთ.

***– ძნელად აღსაზრდელი ბავშვები იგზავნებიან სპეცსკოლებში. ეს ხომ არ გამოიწვევს მათ კიდევ უფრო გაბოროტებას და გადაგვარებას, რა როლს ასრულებენ დღეს ეს სკოლები?***

– ასეთი აღმზრდელობითი სკოლები, რა თქმა უნდა, მიუღებელია, რადგანაც ამით ჩვენ ბავშვებს კი არ გამოვასწორებთ, არამედ, კიდევ უფრო გავაბოროტებთ და სულიერად დავამახინჯებთ. როცა ბავშვი სკოლას, ოჯახსა და მეგობრებს მოსწყდება და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშაა, უკუშედეგს ვიღებთ. საბჭოთა პერიოდში ცხინვალში არსებობდა ძნელად აღსაზრდელთა სკოლა, თუმცა იქ, ფაქტობრივად, რამდენიმე ბავშვი თუ იყო. მაშინდელი სკოლა არ იყო ორიენტირებული იმაზე, რომ ბავშვები ასეთ სკოლა-ინტერნატებში გაეგზავნათ. ახლა კი, პირიქითაა. ამის ტენდენცია იკვეთება მაშინ, როდესაც სკოლამ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა და შეეცადოს, გამოასწოროს ბავშვები, არ გაიმეტოს ისინი სკოლა-ინტერნატში გასაგზავნად. ამ ბავშვებმა უნდა დაინახონ თანადგომა. როცა ბავშვებს სკოლაში დაგვიანებისთვის სკოლა-ინტერნატში გაგზავნით სჯიან, ბუნებრივია, გამოიწვევს იმ ბავშვების გაბოროტებას. მოზარდებს სჭირდებათ კეთილგანწყობა. როცა არასრულწლოვანი ბავშვი ჩადის დანაშაულს, მას სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა და სიფრთხილე, რომ უარესი შედეგები არ მივიღოთ. საბჭოთა პერიოდში მოსწავლეებთან მუშაობდნენ არასრულწლოვანთა პედაგოგები სპეციალური ფსიქოლოგიური განათლებით და შედეგიც იყო.

***– ხელისუფლება დღევანდელი მოზარდების მიმართ ნულოვან ტოლერანტობას ქადაგებს?***

– ხელისუფლება მიხვდა, რომ ნულოვანი ტოლერანტობის იდეა შეცდომა იყო და ახლა, გარკვეულწილად, ცდილობს, ლიბერალური კანონით ჩაანაცვლონ. შემოიღეს განრიდების პროგრამა, რომელიც (მძიმე დანაშაულის გარდა) ითვალისწინებს შემამსუბუქებელ სანქციებს იმისათვის, რომ სნიკერსის ქურდობის გამო ბავშვი ციხეში არ იჯდეს. თუ დაზარალებული მხარე შეურიგდება მეორე მხარეს და არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ ასეთი ბავშვები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. განრიდების პროგრამა ითვალისწინებს, დანაშაულის ხარისხის მიხედვით დაედოს სანქცია. თუ შემამსუბუქებელი გარემოებაა, მაშინ პირობით სასჯელს იყენებენ 16 წლამდე არასრულწლოვნების მიმართ და პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებენ. აღარ ვსაუბრობ უკვე გაუქმებულ ნორმაზე, როდესაც 12 წლის ბავშვების პასუხისმგებლობა იყო დადგენილი და რომელიც არც ერთ საერთაშორისო მოთხოვნაში არ ჯდებოდა.

***– რა მდგომარეობაში არიან არასრულწლოვნები საპატიმრო ადგილებში?***

– როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, არასრულწლოვნების მიმართ მიდგომა საპატიმრო ადგილებში არც ისე სახარბიელოა. მოზარდების მიმართ არის არასათანადო დამოკიდებულება. მივმართავ სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, არასრულწლოვან პატიმრებთან შესვლის უფლება მაინც მოგვცენ უფლებადამცველებს. რატომ ჩარაზეს ციხის კარი? თან გვეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგადაა. ძალიან ბევრი კითხვა არსებობს პასუხგაუცემელი: რატომ არ გვიშვებენ ციხეებში და რას მალავენ? ავადსახსენებელი კომუნისტების დროსაც კი ვახერხებდით ციხეებში შესვლასა და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელებას. არ გვინდა, ციხიდან გაბოროტებული არასრულწლოვნები გამოვიდნენ.

## გამოხმაურება

გაზეთ „ახალი თაობის“ ა.წ. 4-5 აგვისტოს 184-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „რუსებმა მაჭავარიანისა და ბარამიძის ძმები დაასაქმეს“, სადაც, თემურ შაშიაშვილის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებით, საქართველოში რუსულ ენერგოკომპანია „რაოესში“ დასაქმებულია ბარამიძის ძმა, რომელსაც ხელფასი 15 ათას დოლარზე ნაკლები არ აქვს.

სრული პასუხისმგებლობით გვინდა განვაცხადოთ, რომ გიორგი ბარამიძის ძმას არათუ უმუშავია, შეხებაც კი არ ჰქონია არც ზემოთ დასახელებულ და არც სხვა რომელიმე რუსულ კომპანიასთან. აღნიშნულ ინფორმაციას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან და წარმოადგენს მტკნარ სიცრუეს, ხოლო ასეთი დეზინფორმაციის გავრცელება საზოგადოების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანასა და პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან მთავრობის წევრის დისკრედიტაციის კიდევ ერთ უსუსურ მცდელობას ემსახურება.

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

# რატომ არ პასუხობს კალმახელიძე ადვოკატების კითხვებს

გულიკო ბალაძე

სასჯელაღსრულების სამინისტრო ციხეში არჩევნების გამჭვირვალობის თაობაზე დუმს. ცხადია, ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ციხეებში მაინც თავისი კონტროლით ჩატარდეს არჩევნები.

მართალია, ნაციონალურმა მოძრაობამ და მისმა ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა მთელი საქართველო ერთ დიდ, ყვარყვარეს ციხედ გადააქცია, მაგრამ ციხის ციხეში მით უმეტეს გმინავენ იქ გამომწყვდეული ადამიანები და ძნელია ისაუბრო ციხეში არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებაზე.

მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც ცდილობენ, მონიტორინგი განახორციელონ ციხეში არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებაზე, რომ ნაციონალებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან ყალბი ხმები არ წამოიღონ.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2012 წლის 4 ივნისს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს მიმართეს და ხუთ კითხვაზე სთხოვეს პასუხი, თუმცა ხათუნა კალმახელიძემ „ახალგაზრდა ადვოკატების“ კითხვები უპასუხოდ დატოვა.

ახალი უფლებამოსილების მანდატში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ორგანიზაცია მინისტრისაგან მოითხოვდა პასუხს მთავარ საკითხებზე:

აპირებდა თუ არა ხათუნა კალმახელიძე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საქმეების გადახედვას;

ადვოკატთა ინსტიტუციონალურ დევნასა და 113 მსჯავრდებული ადვოკატის საქმეების გადახედვას;

ემხრობა თუ არა ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ამნისტიის იდეას, საზოგადოებისთვის გაეცნო ახალი უფლებამოსილების მანდატში ახალი პრიორიტეტები,

და მთავარი – როგორ გეგმავდა სამინისტრო ციხეებში 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას გამჭვირვალედ, წინასაარჩევნო კამპანიის დასაშვებობით და მთელ ამ პროცესში არასამთავრობო სექტორისთვის შესაძლებლობის გაჩენას – პენიტენციალურ სისტემაში არჩევნებზე დაკვირვებასა და მონიტორინგის განხორციელებას.

– ჩვენ მიერ დასმულ ხუთ სადღეისოდ მნიშვნელოვან თემაზე სამინისტროს პოზიცია არა აქვს, – აცხადებენ „ახალგაზრდა ადვოკატები“.

„ახალგაზრდა ადვოკატების აზრით, მათი ორგანიზაციის სახელზე მიღებული წერილით იგნორირებულია მათ მიერ დასმული ყველა შეკითხვა, რაც განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს.

– სამინისტროს საზოგადოებისთვის ამ დრომდე არ გაუცვნია სტრატეგია, რა ფორმით უნდა მოხდეს თავისუფალი არჩევნების ჩატარება ციხეებში.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, წლევანდელ არჩევნებში მსუბუქი და ნახევრად მძიმე დანაშაულში ბრალდებულები მიიღებენ მონაწილეობას, 2012 წლის 1 თებერვლის მონაცემებით კი დღესდღეობით ასეთი საარჩევნო ხმის უფლების მქონე 1500 პატიმარია.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავენ, რომ დუმილი სასჯელაღსრულების სისტემაში არჩევნების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით არ ნიშნავს გამჭვირვალე არჩევნებს სასჯელაღსრულების სისტემაში.

ხათუნა კალმახელიძის უწყება ადვოკატებს მოუწოდებს, სისტემის პრიორიტეტები და რეფორმები სამინისტროს ვებ-გვერდზე მოიძიონ. თუმცა, სამინისტროს ვებ-გვერდზე საზოგადოების ვერც ერთი ჯგუფი ვერ აღმოაჩენს იმ მთავარ საკითხებზე ოფიციალურ განმარტებას ან აღნიშვნას, რომელიც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინტერესის საგანი გახდა.

– საქართველოს სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა მინისტრად ძველი მინისტრის კანდიდატურის დამტკიცება ახლა უფრო მეტ შეკითხვასა და უნდობლობას აჩენს საზოგადოებაში. მინისტრის ახალი მანდატის შემთხვევაში ჩნდებოდა განცდა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების უწყება დაუბრუნდებოდა სამართლებრივ წესრიგს და ადამიანის უფლებების კუთხით გატარებული ღონისძიებები პატიმრებსაც და მათი ოჯახის წევრებსაც მშვიდი ცხოვრების საშუალებას მისცემდა, მაგრამ სახელმწიფოს არ სურს, სასჯელაღსრულების სისტემაში გადახედოს საკუთარ მკაცრ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას და ხელისუფლებისთვის „ნულოვანი ტოლერანტობა“ ისევ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის კვლევით, საქართველოს ჰყავს პოლიტიკური პატიმრები. დაკავებულთა ოჯახის წევრებთან, იურისტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრის, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის გაცნობის შემდეგ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა, რომ „საქართველოში ნამდვილად არიან ადამიანები, რომლებიც, „პოლიტიკური პატიმრების“ შესახებ ევროპის საბჭოს დეფინიციის თანახმად, „პოლიტიკურ პატიმრებად უნდა მიიჩნიონ“.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების ცნობით, „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე ციხეებში 113 ადვოკატი იხდის სასჯელს, არაერთ ორგანიზაცია და უფლებადამცველი მიუთითებს, რომ ადვოკატების პასუხისგება ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის გამო ხდება.

სისტემის წარმატებული მექანიზმი, პატიმართა ვადამდე ადრე გათავისუფლების საბჭოები, პერიოდულად განიხილავენ ბრალდებულთა საქმეებს. თუმცა, ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა რიცხვი პერიოდულობით არ აღემატება 250 ადამიანს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე პირები ისარგებლებენ საარჩევნო ხმის უფლებით.

საპატიმრო დაწესებულებებში გარკვეული კატეგორიის პატიმრებისთვის ხმის უფლების მინიჭება, ცხადია, ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. აქედან ნაციონალური მოძრაობა რაიმე სარგებლობას რომ არ ელოდებოდეს, ამას არც დაუშვებდა.

მეტი საქმე არა აქვთ, რომ არჩევნები ციხეებშიც გამჭვირვალედ ჩაატარონ.

ნაციონალები ასე რომ აზროვნებენ, თუნდაც მათი ლიდერის განცხადებიდან ჩანს: ქვეყანა ავაშენეთ და მეტი საქმე არა გვაქვს, ძალაუფლება სხვებს გადავაბაროთ და ქვეყანა დავანგრევინოთ“, – აცხადებს სააკაშვილი და არანაირ უხერხულობას არ გრძნობს ამის თქმისას, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველანაირი აკრძალული ხერხით აპირებს არჩევნების დროს ბრძოლას. სხვა საკითხია, როგორ „ააშენეს ქვეყანა“.

სააკაშვილმა და ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერებმა საერთოდ თავიანთი ლექსიკონებიდანაც ამოიღეს, რომ არჩევნებს დემოკრატიულად, გამჭვირვალედ ჩაატარებენ და რომ გაყალბებას ადგილი არ ექნება. რას ამბობთ, მათთვის გაყალბებით თუ გაუყალბებლად არჩევნებში გამარჯვება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და რატომ დადებენ პირობას, არჩევნებს ნორმალურად ჩავატარებთო? მით უმეტეს, არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ნაციონალი მინისტრი. ისინი დიდი ხანია გასული არიან კანონის ფარგლებიდან და კონტროლიდან. ასეთია სამწუხარო რეალობა.

## ბეთქილ შუკვანი გია უდესიანის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს არ აპირებს



კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, ძიუდოისტი ბეთქილ შუკვანი საქართველოს ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტის, გია უდესიანის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს არ აპირებს.

როგორც შუკვანმა „მედიანიუსს“ განუცხადა, მას ამის სურვილი არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე ბეთქილ შუკვანმა 2 აგვისტოს უდესიანი ზეწოლის განხორციელებაში დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, ლონდონში ყოფნის დროს უდესიანი მას „მეგობრულად ურჩევდა“, რომ კოალიცია „ქართული ოცნებისადმი“ სიმპატიები არ გამოეხატა, მიმართავდა უცენზუროდ, ხოლო მისი გამოსვლის შემდეგ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი უდესიანი სასტუმროს მის ნომერთან დაახლოებით 10 კაცთან ერთად მივიდა. სპორტსმენის თქმით, იგი უსიამოვნებას მოერიდა და იქაურობას ფანჯრიდან გადახტომით დააღწია თავი. როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ უდესიანი ზეწოლაში კოალიციის კიდევ ერთმა მხარდამჭერმა ძიუდოისტმა ამბაკო ავალიანმაც დაადანაშაულა.

მედიანიუსი

## ეკა ბერიძის ვაჟს, ბექა ჯიბლაძეს, ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს

ჟურნალისტ ეკა ბერიძის ვაჟს ბექა ჯიბლაძეს, რომელმაც საქართველო უკვე დატოვა, ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს.





როგორც ,,მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა, ჯიბლაძე უკვე საერთაშორისო მასშტაბით იძებნება და მას წაყენებული აქვს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე, 108-ე და 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომლებიც ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებასა და განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

,,ჯიბლაძის თანმხლები პირი გასვიანი უკვე დაკავებულია ხულიგნობის ბრალდებით ,,, – განაცხადა სალომე მახარაძემ. შს სამინისტროს ინფორმაციით, ბექა ჯიბლაძემ თბილისის ერთ-ერთ ბარში მიმტანი თავის არეში ცივი იარაღით დაჭრა და ადგილიდან მიიმალა.

მედიანიუსი

## ახალმა მემარჯვენეებმა აჭარის უმაღლესი საბჭოს კომისიაში განაცხადი შეიტანეს

პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენლებმა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა დღეს კომისიაში განაცხადის შეტანით წერილობით დაადასტურეს.

განაცხადი უმაღლეს საარჩევნო კომისიაში პარტიის სახელით აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პაატა მგელაძემ შეიტანა. მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პარტიის სახელით კენჭს აჭარის ყველა რაიონში იყრიან.

„ჩვენ პოლიტიკური განაცხადი დიდი ხნის წინ გვქონდა გაკეთებული, პირველებს გვყავდა დასახელებული მაჟორიტარების კანდიდატები აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ახლა, ასე ვთქვათ, იურიდიულად გავამყარეთ და დავასაბუთეთ ჩვენი სურვილი. ეს ჩვენი მხრიდან არის კიდევ ერთხელ მცდელობა, რომ დამკვიდრდეს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში,“– განაცხადა პაატა მგელაძემ.

მედიანიუსი

## პარტიების შემომწირველთა ნაწილის ქონების აუქციონზე გატანა დღეს დასრულდება

პოლიტიკური პარტიებისთვის 17 შემომწირველის დაყადაღებული ქონების აუქციონზე გატანა დღეს დასრულდება.

როგორც ,,მედიანიუსს“ აღსრულების ეროვნულ ბიუროში განუცხადეს, ხვალ აუქციონზე რვა შემომწირველის 10 ქონება გავა. პოლიტიკური პარტიებისთვის ცხრა შემომწირველის დაყადაღებულ 15 ქონებაზე საჯარო აუქციონი 3 აგვისტოს გაიმართა. მათგან მხოლოდ შვიდი გაიყიდა.

რაც შეეხება მყიდველის გარეშე დარჩენილ ქონებას, მათზე შესაძლოა განმეორებითი აუქციონი გამოცხადდეს.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში აცხადებენ, რომ გაყიდული ქონების მყიდველთა ვინაობა გაყიდვიდან 10 დღის – თანხის გადახდის ვადის ამოწურვის შემდეგ გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის 17 შემომწირველის დაყადაღებული ქონების აუქციონზე გატანა 3 აგვისტოდან დაიწყო.

ეს იმ ადამიანთა ქონებაა, რომლებიც სასამართლომ პოლიტიკური პარტიებისთვის უკანონო შემოწირულობის გამო გადარიცხული თანხის ხუთმაგი ოდენობით დააჯარიმა.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ცნობით, აუქციონის გამართვას წინ უსწრებდა ქონების მფობელთა გაფრთხილება ჯარიმის ნებაყოფლობით ანაზღაურების შესახებ, რომელიც მათ არ გაითვალისწინეს.

პოლიტიკური პარტიების 17 შემომწირველიდან 12 ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ დონორი იყო. ამ 12 ადამიანზე დაკისრებული ჯარიმის საერთო ოდენობამ 861 500 ლარი შეადგინა.

ოთხი ადამიანი, რომელთაც საერთო ჯამში 284 845 ლარის ჯარიმა დაეკისრათ, კახა კუკავას ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი საქართველოს“ დონორი იყო.

ერთმა პირმა კი თანხა ნაციონალური მოძრაობას ჩაურიცხა და ის 25 ათასი ლარით დაჯარიმდა.

მედიანიუსი

# გელა ნიკოლეიშვილი: ბაჩო ახალაიამ მერაბიშვილის ქონების წარმომავლობის შესწავლა დაიწყო“

ადვოკატი და უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი ფიქრობს, რომ სააკაშვილს არ უნდა ჰქონდეს ეჭვის სერიოზული საფუძველი იმ მხრივ, თითქოს ივანიშვილსა და ვანო მერაბიშვილს შორის რაიმე გარიგება შეიძლება შედგეს. ნიკოლეიშვილის თქმით, მერაბიშვილი ცბიერი პიროვნებაა. ის სააკაშვილს საფლავში არ ჩაჰყვება და მის ყველა ბრძანებას არ შეასრულებდა.

– სააკაშვილმა სწორედ ეს საფრთხე დაინახა მერაბიშვილში. მიშა სწორედ ის პოლიტიკური ცხოველია, რომელიც ინსტინქტით ძალიან მალე გრძნობს საფრთხეს და უცებ შეუძლია იყნოსოს ის საფრთხე, რომელიც შეიძლება ელოდეს, ანუ მას თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს ძალიან განვითარებული, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის“ წევრი გელა ნიკოლეიშვილი.

რა შენიშვნები აქვს ადვოკატს „ქართულ ოცნებასთან“ და რისი იმედი არ უნდა ჰქონდეთ ლეიბორისტებს, ახლებსა და ქრისტიან-დემოკრატებს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს გელა ნიკოლეიშვილთან.



შორენა კოწოწაშვილი

***– ბატონო გელა, რას იტყვით პოლიტიკურ ფლანგზე არსებულ ვითარებაზე, იგრძნობა, რომ მართლაც მოხდა გარდატეხა და საზოგადოება მზადაა რეალური ცვლილების შედეგის დადებისთვის?***

– ძნელი სათქმელია დარწმუნებით, რომ გარდატეხა არის მომხდარი, შიშის ფაქტორი დაძლეული. მე მგონი, ეს ჯერ ბოლომდე არ მომხდარა, თუმცა ამის ტენდენცია შეიმჩნევა. თვითონ გუნდიც კი, ის ორგანიზაციებიც კი, მხედველობაში მაქვს „აირაი“ და „ენდიაი“, რომლებიც ითვლებიან ასე თუ ისე დღევანდელი ხელისუფლების პარტნიორებად და გულშემატკივრებად, იძულებული არიან, აღიარონ ამ ტენდენციის არსებობა. მე მხედველობაში მაქვს ტენდენცია, როდესაც ნაცმოძრაობის რეიტინგი კლებულობს და „ქართული ოცნების“ რეიტინგი იზრდება. ეს არის ტენდენცია. რაც შეეხება იმას, თუ რას უპირისპირებს ხელისუფლება ამას, მმართველი ძალა ისევ ძველ მეთოდებს უპირისპირებს; შიშისა და მოსყიდვის მეთოდებს. ყველამ ვნახეთ სვანეთში ორგანიზებულად Ùდახვედრა. კარალეთის შემდეგ შეიძლება ეს აღარ გაგვიკვირდეს, როგორი ორგანიზებული ჯგუფი დაახვედრეს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ, თვითონ ფაქტი, რომ იქ მაისურებიც, საჭმელ-სასმელიც და გარკვეული თანხაც მათთვის იყო გამოყოფილი და ისინი სკანდირებდნენ ხმაშეწყობილად ყველაფერს, რასაც დაავალებდნენ, იქ კუდს და სოდის თანამშრომლები იყვნენ და ამ ყველაფერს დირიჟორობას უწევდა სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია, ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რა ტაქტიკა აქვს არჩეული ხელისუფლებას. თვალის ასახვევად შექმნილი ბოკერიას კომისია, რომ თითქოს ის რაღაცას დააბალანსებს და აღმოფხვრის ხელისუფლების მხრიდან კანონის დარღვევებს და ამას შეებრძოლება, ეს ყველაფერი არის ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა. ეს კომისია არის ბლეფი, იმიტომ რომ ჯერჯერობით ხელისუფლება არის ერთი გუნდი. შეიძლება, როლები გადაინაწილონ ცუდი და კარგი პოლიციელების, ერთმა თქვას, მე ძალისმიერ მეთოდებს ვემხრობი და მეორემ თქვას – არა, მე რბილ მეთოდებზე და კანონიერებაზე მაქვს აქცენტი, ამ შემთხვევაში პოლიციას და ე.წ. საკოორდინაციო საბჭოს ვგულისხმობ ბოკერიას ხელმძღვანელობით, ეს ყველაფერი თვალის ახვევაა, პირველ რიგში, დასავლეთისთვის და მერე თვითონ ქართველი საზოგადოებისთვის. რა თქმა უნდა, მომავალში ზეწოლა უფრო გაძლიერდება. ეს აღრიცხვიანობაც, რომელიც ხელში ჩაუვარდათ არასამთავრობო ორგანიზაციებს გვარებით და ცალკეული დაჯგუფებების მიხედვით, ვინ რითი სუნთქავს, ვის რა ინტერესები აქვს, ვინ ოპოზიციის მხარეს არის, ვინ მათი მომხრეა. როცა პოლიცია არის ამით დაკავებული, გასაგებია, რომ პოლიციური სახელმწიფოა და პოლიციურ სახელმწიფოში სწორედ პოლიცია უნდა ატარებდეს არჩევნებს. ასეც ხდება. მართალია, ისინი წინა პლანზე არ არიან, მაგრამ კულისებს მიღმა ამ შავ სამუშაოს ატარებენ. ვისზეც დაშინება გაჭრის, აშინებენ, ვიზეც მოსყიდვა გაჭრის – მოისყიდიან. ამის იქით მათ არაფერი იციან, რადგან რეალური მხარდაჭერა ძალიან მცირეა, 15-20%-ის ფარგლებში მერყეობს, ისიც ეს იმათი მხარდაჭერაა, ვინც ამ ხელისუფლებას გამოკვებილი ჰყავს ანდა სამუშაოს და სხვა სიკეთეს ჰპირდებიან.

***– ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ ივანიშვილი და მისი კოალიცია კანონის დარღვევით ახორციელებენ საარჩევნო კამპანიას და ამის გამოა ის ჯარიმებიც. ხელისუფლების ქმედება რამდენად ჯდება დემოკრატიული საარჩევნო პროცესის წარმართვის ფარგლებში?***

– მე, პირადად, სხვა შენიშვნა მექნებოდა ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის მიმართ. ივანიშვილი და მისი კოალიციის წევრები, პირიქით, ზედმიწევნით ცდილობენ კანონი შესრულებას. არადა, როდესაც კანონი არის უსამართლო, როდესაც კანონით ხორციელდება ძალადობა ადამიანებზე და საზოგადოებაზე, იქით კი არ უნდა იყოს მიმართული, რომ როგორმე მოერგო ამ კანონს ადამიანი, ჯგუფი თუ პარტია, პირიქით, ამ ჯგუფისა და პარტიის მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ აჩვენონ, ეს კანონი არის არასამართლიანი, დისკრიმინაციული და აი, ამ კანონის მასობრივად დარღვევით, როგორც ამის მაგალითი თავის დროზე მაჰათმა განდიმ მოგვცა, როცა მასობრივად და შეგნებულად არღვევდნენ კანონს, რადგან ის უსამართლო იყო, აი, სწორედ ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს ოპოზიცია და მთელი სამოქალაქო საზოგადოება. ასე უნდა მოიქცეს ოპოზიციაც და მთელი საზოგადოებაც იგივე ანტენებთან მიმართებით, რაზეც თავს იკლავენ, რომ ეშინიათ, არ მოხდეს „თეფშების რევოლუცია“. ფაქტობრივად, ამის საფრთხე დაინახეს და ამიტომაც ებრძვიან ასე გამეტებით ამ სატელიტურ ანტენებს. სიტყვების გულისთვის მიშა მესხი და მისი ორი მეზობელი დაიჭირეს. თვითონ ამასაც აკეთებენ და ასჯერ უარესსაც. თუ „ქართული ოცნების“ მომხრე საზოგადოებაში ზედმეტად აგრესიულ გამონათქვამს იხმარს, ან თუნდაც ხელით შეეხება და ვერ მოზომავს, ამისთვის არა მხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ სისხლისსამართლებრივ დევნას იწყებენ. ამ დროს მეორე მხარეს ჩვენ ვხედავთ, რომ ერთ-ერთი შემთხვევის დროს თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამგებლის მოადგილემ, გაზდელიანმა, როგორ პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ერთ-ერთ მოქალაქეს და სცემა. ეს თურმე არაფერია. მაგალითად, შეუძლიათ თქვან, რომ ჩვენ ყველას მოსმენის უფლება გვაქვს. დღეს სატელეფონო საუბრის მოსმენა ანდა ოჯახში მოსმენა ითვლება უკანონოდ. პარლამენტმა უცებ შეიძლება მიიღოს კანონი და თქვას, რომ ეს დაკანონებულია. რა, ჩვენ უნდა მივიღოთ ეს ჩვეულებრივ მოვლენად და უნდა შევასრულოთ ასეთი უსამართლო კანონი? ჩვენ ეს დაკანონებული არასამართლიანი კანონიც არ უნდა შევასრულოთ და უნდა გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ეს ქმედება დაუშვებელია და არ შევასრულებთ. ხელისუფლებამ თეფშების აკრძალვის პარალელურად ისეთი ანგარიშები დააყადაღა, მაგალითად, გელა კეტაშვილის ფონდის, რომელზეც ფული საერთოდ არ იყო ჩარიცხული. იგივე, ვთქვათ, როდესაც 60 და 40 ათასებს რიცხავენ ისეთი ადამიანები, რომლებიც აი, მაგალითად, ვირის როლში რომ გამოდიოდა – ნასარიძე, შექმნა და 40 ათასი გადაურიცხა ვილაცვილაც ბიზნესმენებმა იმისათვის, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ანტირეკლამა გაეკეთებინა, ეს პარალელურად ხელისუფლების რეკლამაა. ნასარიძე ნაცმოძრაობის აქტივისტია და ხელისუფლების საქმეს აკეთებს. ეს ვითომც არაფერი. ასეთი კანონების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო და არა მათი შესრულება.

***– ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ივანიშვილი ამომრჩევლის მოსყიდვას ახორციელებს. ხელისუფლების მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვის კონკრეტული ფაქტები თუ გაქვთ არასამთავრობოებს? ისე წარმოჩნდება, თითქოს ცალ კარში თამაშია.***

– კი, ცალ კარში თამაშია, როდესაც ოპონენტებს ხელისუფლება ეუბნება, მოდი, გავიდეთ სათამაშოდ მოედანზე, ოღონდ შენ უნდა იყო ხელფეხშეკრული, მე უნდა დავიწყო თამაში, მსაჯიც ჩემი უნდა იყოს და ვნახოთ, ვინ მოიგებს.

***– რატომ გეკითხებით, იცით? ხელისუფლების პარალელურად ივანიშვილის მხრიდან ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობად აფასებენ კოალიციის ქმედებას ახლები და ლეიბორისტები...***

– მე ვფიქრობ, რომ ძალიან არასწორი პოზიცია უკავიათ, რბილად რომ ვთქვათ, როგორც ლეიბორისტებს, ასევე ახლებსა და ქრისტიან-დემოკრატებს. მე არ ვიცი, ლეიბორისტებზე, ალბათ, ამას არ ფიქრობენ და მათთვის რაღაც ადგილების მიცემა გამორიცხულია პარლამენტში, მაგრამ ახლები და ქრისტიან-დემოკრატები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებისგან მიიღებენ რაღაცა სვლებს საპარლამენტო არჩევნებში და ისინი გადაალახვინებენ მათ 5%-იან ბარიერს. მე ვფიქრობ, ეს არის ძალიან მცდარი ტაქტიკა. ხელისუფლებას თავისი თავი გასჭირვებია. მან უნდა შეინარჩუნოს კი არა, რეალურად უნდა მოიმატოს ის ხმები, რომელიც მას არ აქვს. მმართველ პარტიას ძალიან უნდა მიაღწიოს სასურველ 51%-მდე, ეს მათი მინიმალური მიზანია, იმიტომ რომ 49% უკვე მმართველი პარტიის დამარცხებაა. ასეთი დამარცხება კი ხელისუფლების თითოეული წევრისთვის ფიზიკურად საშიშია. აქედან გამომდინარე, ახლა ხელისუფლება არ არის იმ სიტუაციაში, რომ პარლამენტში სხვების გათრევაზე იზრუნოს. სხვა შანსი მათ არ რჩებათ. როგორც ჩანს, მათ ეს თამაში უნდა ითამაშონ. ყველას თავისი არჩევანი აქვს. მომავალი დაგვანახვებს, რომ ეს არასწორი არჩევანია.

***– რაზე მიანიშნებთ, რომ ვანო მერაბიშვილის, როგორც წარმატებული მენეჯერისა და ხელისუფლების ხერხემლის იმიჯის მქონე პიროვნების პრემიერად გადაყვანამ ვერ უშველა ხელისუფლების იმიჯის?***

– არა. ამან არ იმუშავა. ორი კურდღლის დაჭერა უნდოდა სააკაშვილის მერაბიშვილის ამ პოსტზე წამოწევით. ერთი, რომ მერაბიშვილი კარგი მენეჯერი და აღმსრულებელია, თუმცა ამან არც იმუშავა და არც იმუშავებს; და მეორე – როგორც ჩანს, სააკაშვილს მაინც არ ჰქონდა ბოლომდე ნდობა, რომ მერაბიშვილი მის ყველა დავალებას შეასრულებდა. სააკაშვილმა ამიტომ მერაბიშვილს მთელი ძალა გამოაცალა პოლიციის სახით და ძალიან სახიფათო პირებს ჩაუგდო ძალოვნები ხელში – ახალაიების ოჯახურ კლანს.

***– მხოლოდ ძალოვნებზე გავლენა ჩაუგდო ხელში ახალაიებს სააკაშვილმა თუ მერაბიშვილის ბიზნეს-ინტერესების კონტროლიც? ითქვა, რომ ბაჩო ახალაია უკვე სწავლობს მერაბიშვილის ქონებრივ და ბიზნეს-ინტერესებს.***

– ეს ინფორმაციები ჩემამდეც მოვიდა. შეიძლება, ვანო მერაბიშვილს ახლა მართლაც დაუწყონ ძირის გამოთხრა. ეს სულაც არ გამიკვირდება. საერთოდ, ასეთი ხელისუფლებები და ურთიერთობები ყოველთვის ასე მთავრდება – ბოლოს ერთმანეთს წირავენ. თუმცა ახლა არჩევნებამდე ესენი ერთმანეთს არ უმტრობენ და ერთად იდგებიან.

# გია გვაზავა: 2008 წლის აგვისტო აღარ გამეორდება“

## რატომ გვაბრალებენ აფხაზები ბიოლოგიური იარაღის შექმნას

თეა მარხვაიძე

**რას ემსახურება შავ ზღვაში რუსული სადესანტო ხომალდების შემოსვლა, რატომ სდებენ ბრალად საქართველოს ბიოლოგიური იარაღის შექმნას, რატომ არის საჭირო ვიზიტები ყაზახეთსა და უკრაინაში, ამის შესახებ „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა ესაუბრება.**

***– ბატონო გია, თქვენ ახლახან დაბრუნდით ყაზახეთიდან. გვიამბეთ თქვენი ვიზიტის შესახებ.***

– ეს იყო ადრე დაგეგმილი ვიზიტი ყაზახეთში საქართველოს ელჩის დავით მუმლაძის მოწვევით. შევხვდით ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს, ჩვენ ადრეც გვქონდა მათთან ურთიერთობა. ამჯერად ჩვენმა თანამემამულეებმა ქართული ეკლესიის აშენების საქმეში გვთხოვეს თანადგომა. ასტანაში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე აფხაზეთიდან დევნილი, სოხუმელი ზვიად აფხაზავაა. ქართული დიასპორა ყაზახეთში 3200-ზე მეტ ადამიანს ითვლის, საქართველოს მოქალაქეები კი 1000-მდე არიან. შევხვდით ქართველ ბიზნესმენებს. სხვათა შორის, ახლა ყაზახეთს ძალიან კარგი პერიოდი უდგას ეკონომიკის თვალსაზრისით. მათ გამოთქვეს ინიციატივა, რომ საჭიროა კასპიის ზღვის უფრო მეტად დატვირთვა. ცხადია, სატრანსპორტო დერეფანი უცილობლად საქართველოზე უნდა გადიოდეს.

საინტერესო გეგმები აქვს საქართველოს ელჩსაც. ბატონი დავითის ხელშეწყობით გაიმართა შეხვედრები ყაზახეთში სხვადასხვა ქვეყნების, კერძოდ ისრაელის, ჩინეთის, თურქმენეთის, ესტონეთის, ლატვიის, სომხეთის, ყირგიზეთის ელჩებთან, ყაზახეთის რიგი უწყებების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, იყო საქართველო და აფხაზეთი. როგორც მოსალოდნელი იყო, აფხაზეთის თემა აქ დღემდე ინფორმაციულ ვაკუუმშია მოქცეული, ანუ აფხაზეთში კონფლიქტის ეთნოგენეზს საერთოდ არ იცნობენ, რასაც ხელს „უწყობს“ ყაზახეთში ქართული სატელევიზიო არხების მიუწვდომლობა. ბატონი დავით მუმლაძის აზრით ამ პრობლემას აღმოფხვრიდა თუნდაც ერთი არხის, მაგალითად რუსულენოვანი „პიკ“– ის ტრანსლაცია. მინდა გითხრათ, რომ ელჩების მხრიდან ძალიან დიდი იყო დაინტერესება საქართველოთი. ისინი მეტ-ნაკლებად ფლობდნენ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე რეფორმების შესახებ და ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობის მიზნით საქართველოში ჩამოსვლის სურვილიც გამოთქვეს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საქმიანობით დაინტერესებულმა ლატვიის ელჩმა ერთი საინტერესო დეტალი გაიხსენა: თურმე დევნილობაში მყოფი ლატვიის ხელისუფლება, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული 1993 წლამდე, აშშ-ში ფუნქციონირებდა ამერიკელების ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით. ასე რომ, მავანთა საყურადღებოდ, რომელთაც უსაფუძვლო და არაჯანსაღი ამბიციები აწუხებთ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ტერიტორიადაკარგული დევნილი ხელისუფლების მოღვაწეობის არაერთი მაგალითი არსებობს.

***– ბატონო გია, თუკი ყაზახეთი რუსეთის მეგობარ ქვეყანას წარმოადგენს, მაშინ რატომ ფიქრობს რუსი ბიზნემენი პროხოროვი, რომ რუსეთს საფრთხე შეიძლება ყაზახეთიდან დაემუქროს ორ შემთხვევაში:1) თუკი რუსეთის მოსაზღვრე ყაზახეთში ფეხს მოიკიდებს რადიკალური ისლამი და 2) თუ ყაზახეთს ჩინეთი „დაიკავებს“?***



– იცით, ეს პრობლემა მართლაც არსებობს. ვაჰაბიზმმა იქაც შეაღწია და ეს მათაც აშფოთებთ. ყაზახეთი შედარებით ცივილიზებული სახელმწიფოა როგორც რელიგიური, ისე სამოქალაქო საზოგადოების თვალსაზრისით. მას ორი მხრიდან ვეებერთელა იმპერიები ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან – რუსეთი, სამხრეთიდან – ჩინეთი. ჩინურ სახელმძღვანელოებში ყაზახეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი აღნიშნულია, როგორც ჩინეთის ტერიტორია. მართალია, ჩინეთი ჯერჯერობით არ ედავება, მაგრამ იდეოლოგიურ დონეზე მაინც დგას ეს საკითხი, ასე ვთქვათ, მარცვალი ჩაგდებულია. არანაკლები გეგმები აქვს რუსეთსაც ყაზახეთთან დაკავშირებით, ანუ არსებობს „რუსული პრობლემებიც“. ნამდვილად რთული რეგიონია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ამ დიდ და რთულ სახელმწიფოს მართავს ნიჭიერი და გამოცდილი დიპლომატი ნურსულთან ნაზარბაევი, რომლის გონივრული პოლიტიკის წყალობით ყაზახეთმა პოსტკომუნისტური პერიოდი უმტკივნეულოდ გაიარა და ყველა მეზობელთან დაამყარა კეთილი, მეგობრული ურთიერთობა.

***– რა საკითხთან დაკავშირებით გაემგზავრეთ ივლისში უკრაინაში?***

– უნდა ითქვას, რომ უკრაინაშიც მთავარი თემა იგივე გახლდათ, რაც ყაზახეთში – აფხაზეთი. უკრაინაში არც ისე მარტივადაა საქმე. მართალია, კიევი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს, მაგრამ ყველა პროცესს, განსაკუთრებით პრობლემურს, პერმანენტულად სჭირდება განახლება. რუსული პროპაგანდა იქაც სჭარბობს. ჩვენ უნდა მივაწოდოთ მათ უტყუარი ინფორმაცია აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ, რეალური სურათი, როგორ ვითარდება მოვლენები და ა.შ. ჩემი და უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ანზორ წოწონავას ვიზიტი დაემთხვა „უკრაინული ენის ლინგვოციდის“ პრობლემას. მიხვდით, ალბათ, რომ ესეც რუსული პოლიტიკის ნაწილია. ამ მოვლენების გამო ჩვენი სამუშაო პროგრამა შეიკვეცა. ლინგვოციდის პრობლემის გამწვავებას ხომ პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა, უკრაინის პარლამენტი – უმაღლესი რადა ლამის დაითხოვა უკრაინის პრეზიდენტმა. შევხვდით რადას იურიდიული დეპარტამენტის თავმჯდომარეს, აგრეთვე სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტის დირექტორს და თანამშრომლებს. დავგეგმეთ საინტერესო ღონისძიებები, კერძოდ, ერთობლივი კონფერენცია, რომელიც შეეხება საქართველოში რესტიტუციის საკითხებს და ზოგადად საერთაშორისო სამართლის საკითხებს. შევხვდით ასევე აფხაზეთიდან დევნილთა დიდ ჯგუფს. საერთოდ, უკრაინაში 7000 აფხაზეთიდან დევნილი ცხოვრობს. მათ გვთხოვეს დავხმარებოდით დევნილებად დარეგისტრირების საქმეში. ისინი არ ითხოვენ დევნილთა შემწეობას, მათ სურთ, სხვების მსგავსად ირიცხებოდნენ დევნილთა საერთო რაოდენობაში. ჩვენ ეს პრობლემა დავაყენეთ საელჩოს წარმომადგენლებთან. განვიხილეთ რამდენიმე წინადადება მის მოსაგვარებლად. ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია საკონსულოებში დაგეგმილი რეფორმის გახორციელება, ანუ იუსტიციის სახლის ფუნქციების შეთავსება. მათ კომპეტენციაში თავისთავად შევა რეგისტრაციის პრობლემის მოგვარებაც. მთავარია, რომ საკითხი დაისვა და მის გადაჭრაზე ვმუშაობთ.

***– ბატონო გია, ენგურთან ახალი რუსული სასაზღვრო პუნქტების გახსნა, რუსული დიდი სადესანტო ხომალდების შავ ზღვაში შემოსვლა და საქართველოს სიახლოვეს განლაგება, ასევე ცხინვალიდან ქალებისა და ბავშვების გახიზნვა – ყველაფერი ეს საგანგაშო ინფორმაცია ხომ არ არის? არის თუ არა იმის საშიშროება, რომ 2008 წელი განმეორდეს?***

– კრემლის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დონეზე – იდეოლოგიურად, ფიზიკურად, პოლიტიკურად დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ აფხაზეთი არის რუსეთის სამხრეთი ნაწილი. სულაც არ არის გასაკვირი, რომ არჩევნების ფონზე მოსკოვი ახდენს თავისი ძალის დემონსტრირებას. სხვათა შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლაც იდეოლოგიური ომის ერთ-ერთი მეთოდია. აშკარაა, რომ პუტინი ყველანაირად ეცდება დესტაბილიზაციის მოწყობას საქართველოში, მაგრამ არა მგონია, ჩიკაგოს სამიტის შემდეგ, ნატოს წევრობის პრედენდენტ ქვეყანაში გაბედოს 2008 წლის მსგავსი ქმედებები.

***– აფხაზ სეპარატისტებს გაუჩნდათ შიში იმის გამო, რომ თითქოსდა საქართველო ბიოლოგიურ იარაღს ქმნის, რის გამოც აპირებენ მიმართონ დაჩაგრული ერების დაცვის საზოგადოებას...***

– ეს ისევე სასაცილოა, როგორც ა. ჯერგენიას აბსურდული ბრალდება, თითქოსდა ქართველებს გეგმაში ჰქონდათ მცირე ატომური ჭურვებით აფხაზეთის დაბომბვა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ბომბავს საქართველო ატომური იარაღით თავისსავე ხალხს და ტერიტორიას? ჯერგენია არც კი იხსენებს იმას, რომ ისე დამთავრდა აფხაზეთში ომი, ერთი ბომბიც არ ჩამოვარდნილა გუდაუთში, პრაქტიკულად სულ გუმისთისაქეთა აფხაზეთი იბომბებოდა და ეს იმ დროს, როცა ჩვენ ავიაცია გვყავდა, მათ კი არა. არანაირი ბიოლოგიური იარაღი არ არსებობს, ცხადია, რომ საქართველოსგან საფრთხობელას შექმნა სურთ...

***– ამ შემთხვევაში, აფხაზებზე უფრო გასაკვირი გერმანელი სპეციალისტის დოქტორ კამალ სიდოს აზრია: „რეგიონისთვის ამგვარი იარაღის შექმნა მეტად საფრთხილოა, ვინაიდან ქვეყანა ყოველთვის გამოიყენებს მას შიდა პრობლემის მოსაგვარებლადაც კი“?!...***

– ალბათ, რუსულმა ფსბ-მ კარგად გადაუხადა.... ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებსო...

## ავღანეთში ქართველი ჯარისკაცებისთვის ორი საარჩევნო უბანი შეიქმნა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, საზღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში – ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეების 2012 წლის პირველი ოქტომბრის პროპორციული წესით ჩასატარებელი პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, ორი საარჩევნო უბანია შექმნილი.

„ჰელმანდის საარჩევნო უბანი – „შუკვანი“ (ქაბულის ბაზაზე მყოფი ამომრჩევლები მონაწილეობას მიიღებენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით, როგორც ჰელმანდის საარჩევნო უბანი – „შუკვანის“ ამომრჩევლები); ჰელმანდის საარჩევნო უბანი – „ბ – ასეულის ბაზა“.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს კონკურსს ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში, პროპორციული წესით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების შესრულების მიზნით სპეციალური ჯგუფების სამ-სამი წევრის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2012 წლის 6 აგვისტოდან 9 აგვისტოს ჩათვლით. ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. კანდიდატის 2 ფოტოსურათი; 2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; 3. კანდიდატის თანხმობა სპეციალური ჯგუფის წევრად ყოფნაზე“, – ნათქვამია ცესკოს განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## პრეზიდენტი 2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპული ქართველი ჯარისკაცის დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი ყვარელში, 2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ზურაბ ტურაშვილის დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრნენ.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პრეზიდენტმა დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს მიუსამძიმრა და თანადგომა გამოუცხადა.

რუსული აგრესიის შედეგად დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ოჯახს სამძიმარს უცხადებს, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

სერჟანტი ზურაბ ტურაშვილი ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა და მისი იდენტიფიცირება მხოლოდ დნმ-ის ანალიზის საფუძველზე მოხდა.

ცნობისთვის: სერჟანტი ზურაბ ტურაშვილი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან მსახურობდა. დაჯილდოებულია მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

**მედიანიუსი**

## ჯანდაცვის მინისტრი კაპანაძეების ოჯახს ესტუმრა



ჯანდაცვის მინისტრი ჭიათურაში კაპანაძეების ოჯახს ესტუმრა და ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლისები გადასცა.

ზურაბ ჭიაბერაშვილმა კაპანაძეებს პოლისით გათვალისწინებული მომსახურებისა და სარგებლობის წესების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და აღნიშნა, რომ დაზღვეულთა რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

კაპანაძეების ოჯახის სამი წევრი – პენსიონერი ქალბატონი და ორი მცირეწლოვანი კუთვნილი პოლისებით სარგებლობას პირველი სექტემბრიდან შეძლებენ.

**მედიანიუსი**

## ცესკომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 16 პარტია დაარეგისტრირა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპარალემენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 16 პარტია უკვე დაარეგისტრირა.

ცესკო-ს მონაცემებით, პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიებია – „ახალი მემარჯვენეები“, „მერაბ კოსტავას საზოგადოება“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „კახა კუკავა -თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, „ქართული დასი“, „საქართველოს მწვანეთა პარტია“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და „სახალხო მოძრაობა“.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე კვალიფიციურ სუბიექტებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადის შეტანის ვადა დღეს, 18:00 საათზე ეწურებათ.

უკვე დასრულებულია არაკვალიფიციური პარტიების განაცხადების მიღება. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი სულ 33-მა არაკვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა გამოთქვა.

საქართველოში საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს ჩატარდება.

**ნიუსპრესი**

## ჟურნალისტი ნათია როყვა პოლიციისგან მისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამოძიებას ითხოვს



ახალი ამბების სააგენტო „ნიუსპრესისა“ და „მე-9 არხის“ ჟურნალისტი ნათია როყვა სამართლადამცავებისგან ბეშუმში, შუამთობის დღესასწაულზე მისთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამოძიებას ითხოვს.

ნათია როყვას განცხადებით, დღესასწაულზე პრეზიდენტის მისვლის შემდეგ პროფესიული საქმიანობის შესრულების საშუალებას მას პრეზიდენტის დაცვა არ აძლევდა.

„მე და ჩემს ოპერატორს პრეზიდენტის დაცვა სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდა და მოგვიწოდებდა „წავთრეულიყავით“ იქედან. შემდეგ კი, როდესაც პრეზიდენტთან ერთად მაღლობიდან ჩავდიოდით ხელს გვკრავდნენ, რის გამოც მე და ჩემი ოპერატორი ნიკა ტუღუში რამდენჯერმე დავეცით“ – ყვება ჟურნალისტი.

მისივე თქმით, პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, ოპერატორი ერთ-ერთი ქალის გადაღებას ცდილობდა, რომელიც სააკაშვილთან არ მიუშვეს. ამის გამო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებმა მათ ფიზიკური შეურაცხოფა მიაყენეს.

როყვას თქმით, როდესაც მან დასახმარებლად პოლიციას მიმართა, ძალოვანებმა მასთან საუბარიც არ ისურვეს და ტერიტორია დატოვეს.

„პოლიციამ ყურადღებაც არ მომაქცია. მათ მივუთითე ადამიანებზე ვინც შეურაცხყოფა მომაყენა, ამის შედეგ კი პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მივმართე, რომელმაც მომაძახა – „პროვოკაციებს ნუ აწყობო“, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მკითხა „ვინ გაგიბედაო“ და წავიდა. ამის შედეგ „ნაციონალების“ მხარდამჭერებმა ისევ დაიწყეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მოყენება და ამბობდნენ, რომ მე ჟურნალისტი კი არა რუსეთის აგენტი ვიყავი“ – აღნიშნა როყვამ.

მისივე თქმით, აღნიშნულ ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით პოლიციისთვის ოფიციალურად მიმართვას აპირებს, თუმცა მათი მხრიდან გამოძიების იმედი არ აქვს.

ბეშუმში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილი შუამთობის დღესასწაულის მისალოცად ერთდროულად ავიდნენ, რასაც მათ მხარამჭერებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

**ნიუსპრესი**

# თრუსოს ხეობაში ტრავერტინებს განადგურება ემუქრება

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილი ისევ ამოქმედდება. შპს „კასარა" თრუსოს მინერალური წყლების საბადოებიდან ცე2-ის მოპოვებას, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში განაახლებს. „კასარას" მფლობელები „ნაციონალური მოძრაობიდან" ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გოჩა მალანიას შვილი აკაკი მალანია და შპს „ქროსვეისი" არიან, რომელიც სასტუმრო „ჰოლიდეი ინ-ის" მფლობელ თეიმურაზ უგულავას ეკუთვნის. გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ნახშირმჟავა აირის მოპოვების განახლების შემთხვევაში რეკრეაციული დანიშნულების უნიკალურ ხეობასა და ტრავერტინებს განადგურება ემუქრება.

## ეკოლოგების პროტესტიდან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე

შპს „კასარამ" ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში ცე2-ის მოპოვებაზე 25-წლიანი ლიცენზია 2005 წლის 27 ოქტომბერს მიიღო. კომპანიას თრუსოს მინერალური წყლების საბადოებში მოპოვებული ნახშირმჟავა აირი გაზირებული სითხის სახით საგანგებო ჭურჭელში უნდა ჩამოესხა და მისი რეალიზაცია მოეხდინა. „კასარას" დირექტორი ვარაუდობდა, რომ ხეობაში წამოწყებული ახალი ბიზნესის შედეგად თანხა სახელმწიფო ბიუჯეტშიც შევიდოდა და ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდებოდა.

თუმცა, 2008 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ „კასარა"-ს თრუსოს ხეობაში წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაუუქმა. ლიცენზიის გაუქმების მიზეზი გარემოს დამცველების მხრიდან თრუსოს ხეობის დასაცავად წამოწყებული მძლავრი კამპანია გახდა. ეკოლოგების შეფასებით, თრუსოს მინერალური წყლების საბადოებში, ნახშირმჟავა აირის მოპოვების დაწყებით, თრუსოს ხეობის უნიკალურ ეკოსისტემას გამოუსწორებელი ზიანი მიადგა: თრუსოს ცნობილი ტრავერტინები, მინერალური წყლებისგან წარმოქმნილი თეთრი, ნარინჯისფერი და მოვარდისფრო კიროვანი დანალექი, რომელიც ხეობაში უამრავ ტურისტს იზიდავს, გაშავდა.

2008 წლის შემოდგომაზე შპს „კასარამ" ლიცენზიის გაუქმების ბრძანება სასამართლოში გაასაჩივრა და ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს დაუპირისპირდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 ივლისის გა-



დაწყვეტილებით, მოსარჩელე შპს „კასარა"-ს სასარჩელო განცხადება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 1 აგვისტოს ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

„საქმის სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ 2005 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „კასარაზე" გაიცა ლიცენზია – ყაზბეგის რაიონში, თრუსოს ხეობაში არსებულ მინერალური წყლების საბადოზე. აღნიშნული ლიცენზიის გაუქმების საფუძველი გახდა სრულყოფილად გადაუმოწმებელი ცნობები, თითქოს შპს „კასარა"-ს საქმიანობა ზიანს აყენებდა გარემოს. სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 20 მაისის ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნით, შპს „კასარა"-ს ფუნქციონირების პერიოდში გარემოსთვის ზიანი არ მიუყენებია და დადგენილი პირობებით მუშაობის შემთხვევაში არც მომავალშია მოსალოდნელი რაიმე საფრთხის საშიშროება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავის არსებითად განხილვის გარეშე, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სადაო ბრძანება შპს „კასარა"-სთვის ლიცენზიის გაუქმების თაობაზე და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება შპს „კასარა"-სთვის ლიცენზიის გაუქმება– არგაუქმების თაობაზე", – აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

## ვინ არიან შპს 'კასარას~ მფლობელები

თრუსოს ხეობის შუაგულში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილი ახლაც დგას. წყალთან ერთად ამოსული ნახშიროჟანგი აირი წყლისგან იქვე მდებარე რეზერვუარებში უნდა განცალკევებულიყო და მილსადენით გადაქაჩულიყო ქარხანაში, რომელიც თხუთმეტიოდე კილომეტრის მოშორებით, კობთან უნდა აშენებულიყო. ნარინჯისფერი ტრავერტინის თავზე ფუნქციადაკარგული ჭაბურღილიდან წყალთან ერთად ამოსული ნახშირორჟანგი ამ დროისთვის ჰაერში უმიზნოდ იფანტება. თუმცა, შპს „კასარას" რეგისტრირებულ მონაცემებში შეტანილი ცვლილებები ცხადყოფს, რომ ჭაბურღილი სულ მალე ისევ ამოქმედდება.

შპს „კასარა" 2004 წლის 6 აგვისტოს არის რეგისტრირებული. კომპანიის 45%-იანი წილი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის და ამჟამად ყაზბეგში „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გოჩა მალანიას შვილს – აკაკი მალანიას ეკუთვნის. 2012 წლის 6 მარტს „კასარას" მონაცემებში ცვლილება შევიდა და შპს-ს 55%-იანი წილის მფლობელი ყოფილი დირექტორის გივი სოსელიას ნაცვლად, შპს „ქროსვეისი" გახდა. შპს „ქროსვეისის" 100%-იანი წილის მფლობელი კი ცნობილი ბიზნესმენი და სასტუმრო „ჰოლიდეი ინ"-ის მფლობელი თეიმურაზ უგულავაა. თეიმურაზ უგულავას ეკუთვნის ყაზბეგში ახლადაშენებული სასტუმრო „რუმს ყაზბეგიც".

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ყაზბეგში „ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გოჩა მალანია აცხადებს, რომ შპს „კასარა" აგვისტოს ბოლოდან საქმიანობას ისევ განაახლებს. „არსებობს გარემოს დაცვის სამინისტროს დასკვნა, რომ „კასარას" გარემოსთვის არანაირი ზიანი არ მიუყენებია. ამ დასკვნას ხელს 15-მდე ძალიან კომპეტენტური ადამიანი აწერს. ლიცენზია არ არის გაუქმებული. ის ისევ ძალაშია. კომპანია აგვისტოს ბოლოს ნახშირორჟანგის მოპოვებას ისევ დაიწყებს და ეს ძალიან კარგი იქნება: იქ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება".

ნინო ჩხობაძე – ნახშირმჟავა აირის მოპოვების განახლების შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ რეკრეაციული დანიშნულების უნიკალურ ხეობას და ტრავერტინებს

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების" ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ თრუსოს ხეობაში სამეწარმეო საქმიანობის აღდგენით უნიკალური ლანდშტაფის მქონე ხეობა პრაქტიკულად განადგურდება.

„თრუსოს ფერადი ტრავერტინების დიდი ნაწილი გაშავებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრავერტინები კვდება. მინერალური წყლებისგან წარმოქმნილი კიროვანი დანალექი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც წყლითა და ნახშირორჟანგით იკვებება. თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილის ამოქმედების შემდეგ ბალანსი დაირღვა – ტრავერტინებს სათანადო რაოდენობის წყალი და ნახშირორჟანგი აღარ მიეწოდებოდა, რასაც მათი განადგურება მოჰყვა. მას შემდეგ, რაც ნახშირმჟავა აირის მომპოვებელმა საწარმომ საქმიანობა შეაჩერა, ზოგიერთ ადგილზე აღდგენითი პროცესი დაიწყო. თუმცა, თრუსოს მინერალური წყლების საბადოებში ნახშირმჟავა აირის მოპოვების დაწყებით თრუსოს ხეობის უნიკალურ ეკოსისტემას გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. ამ ეკოლოგიური ზიანის სრული კომპენსირება შეუძლებელია. რა საჭიროა ნახშირმჟავა აირის მოპოვება მაინცდამაინც თრუსოს ხეობაში? ნახშირმჟავა აირის შემცველი მინერალური წყაროები საქართველოში ძალიან ბევრგან არის, მათ შორის ყაზბეგშიც. ვერ ვხვდები, ცე2-ის მოპოვება მაინცდამაინც თრუსოს ხეობაში რატომ უნდა დაიწყონ. ნახშირმჟავა აირის მოპოვების განახლების შემთხვევაში ჩვენ დავკარგავთ რეკრეაციული დანიშნულების უნიკალურ ხეობას და ტრავერტინებს. ასეთი ტრავერტინები ყველა ქვეყანაში არ არის, ჩვენ კი ასეთ სიმდიდრეს ვანიავებთ", – განუცხადა ჩხობაძემ მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

ტრავერტინის ქანები, რომლებიც მცენარეების ანაბეჭდებს და მტკნარი წყლების მოლუსკების ნიჟარებს ინახავს, თრუსოს ხეობაში უამრავ ტურისტს იზიდავს. ტრავერტინულ „მინდვრებს" ხეობის 20 ჰექტარი უკავია. სოფელ აბანოში კი მინერალური ტბაა, რომელიც ზედაპირული კარბონატული ქანებიდან დედამიწის ზედაპირზე ამომავალი ნახშირორჟანგის წყაროდან წარმოიქმნა. მიწის ზედაპირზე ამოსული ნახშირორჟანგის გამო ტბა მუდმივად ბუყბუყებს. ამიტომ მას „ბუყბუყა ტბა" შეარქვეს. ამ ტბასთან მიახლოებისას მცირე ზომის ცხოველები იხოცებიან.

თავის დროზე, თრუსოს ტრავერტინებიც და აბანოს ბუყბუყა ტბაც ბუნების ძეგლის სტატუსით, საბჭოთა „წითელ წიგნში" იყო შეტანილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „წითელი წიგნი" გაუქმდა და ოფიციალური სტატუსი ამ ძეგლებმაც დაკარგეს. თრუსოს ტრავერტინებს და აბანოს მინერალურ ტბას ბუნების ძეგლების სტატუსი განმეორებით რამდენიმე თვის წინ მიანიჭეს – თრუსოს ხეობის ეს ღირსშესანიშნაობები ბუნების იმ სამი ახალი ძეგლის ჩამონათვალში მოხვდა, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ, ყაზბეგში „დარიალი ჰესის" მშენებლობისთვის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ჩამოჭრილი 9 ჰექტარის საკომპენსაციოდ შექმნა. თრუსოს ხეობაში სამეწარმეო საქმიანობის აღდგენით, ბუნების ახალი ძეგლის საკითხი განხილვის ახალ ფაზაში გადავა.

**მანანა ვარდიაშვილი**
**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ვაშლოვანის ნაკრძალში ხანძრის შედეგად ხის უნიკალური ჯიშები განადგურდა

ვაშლოვანის ნაკრძალში ხანძრის შედეგად ხის უნიკალური ჯიშები განადგურდა. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს სახანძრო – სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა აცნობეს. დაცული ტერიტორიის იმ ნაწილთან, სადაც 30 ივლისს ხანძარი გაჩნდა, ამ დრომდე სამხედრო პოლიცია პატრულირებს და ჟურნალისტებს ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ.

გადამოწმებული ინფორმაციით, ბოლო სამი დღის განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი „კამაზის" ტიპის დახურული მანქანებით ნაკრძალის ტერიტორიიდან სავარაუდოდ ხე – მასალა გააქვთ. ამ ინფორმაციას დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს მაცხოვრებლებიც ადასტურებენ. სამხედრო პოლიცია ნაკრძალის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არც ადგილობრივ მაცხოვრებლებს აძლევს.

საბათლოს მაცხოვრებლების თქმით, განადგურებულია დიდი რაოდენობით საკმლის ხე და ღვია. მათივე ცნობით, მწყემსებისგან გაიგეს, რომ ხანძრის შედეგად დაიხოცა კურდღელი, ველის მელა და გარეული ღორი.

ვაშლოვანის ნაკრძალი კომპლექსური ნაკრძალია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ზეგანზე, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. ნაკრძალად გამოცხადდა 1935 წელს. საერთო ფართობია 4 868 ჰექტარი, ტყით დაფარულია 4 032 ჰექტარი, დანარჩენი ნაწილი ველებს, უდაბნოს, ხევებს და ალესილებს უჭირავს. ნაკრძალის ტყის ძირითადი კომპონენტია საკმლის ხე და ღვია. აქვე გვხვდება აკაკი, ბერყენა, ბროწეული, ბალღოჯი, გრაკლა, შავჯაგა, ძეძვი, ჭალაფშატა და სხვა, ბალახოვანი საფრიდან – უროიანი, ავშნიანი და მლაშობურიანი დაჯგუფებები. გარდა ქვეწარმავლებისა (გიურზა, სხვადასხვა სახეობის ხვლიკები), რომლებიც აქ ძალიან ბევრია, გვხვდება მრავალი სახის ფრინველი (კაკაბი, კოდალა, ორბი, სვავი, მიმინო, უფეხურა, მოლაღური, კვირიონი, ჩხართვი და სხვა) და ძუძუმწოვარი (გარეული ღორი, კურდღელი, ტყისა და ველის მელა, კავკასიური მგელი, დათვი, ზოლებიანი აფთარი, მაჩვი და მრავალი სხვა). ნაკრძალის მიზანია ძალზე შემცირებული ნათელი ტყის ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლების დაცვა-შემონახვა.

ზუსტად რა ზიანი მიადგა ვაშლოვანის ნაკრძალს ხანძრის შედეგად და რატომ არის აკრძალული ტერიტორიაზე შესვლა, ამ კითხვით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის უფროსს მერაბ ფიროსმანაშვილს მივმართეთ: „თუ მარტო ეს შეკითხვა გაქვთ და მეტი არაფერი, ამისთვის დაცული ტერიტორიების პრესსამსახურს დაუკავშირდით. მე კომენტარს არ ვაკეთებ", – აღნიშნა ფიროსმანაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის პრესსამსახურს ვერ დაუკავშირდა.

გარემოს დაცვის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ეკა ბენდელიანმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხანძრის შედეგად ნაკრძალში ხე – მცენარეები განადგურდა.

„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხანძრის შედეგად ის ხე – მცენარეები, რომელიც წითელ წიგნშია შეტანილი, არ დამწვარა. ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგაწოდეს, არ შეესაბამება სიმართლეს", – განაცხადა ეკა ბენდელიანმა.

– რატომ პატრულირებს იმ ტერიტორიის შესასვლელთან, სადაც ხანძარი იყო, სამხედრო პოლიცია?

– კანონმდებლობით, 1 კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს მონიტორინგი, სპეციალისტები მუშაობენ. როდესაც ყველაფერი დასრულდება, ჩვენ წავიყვანთ ჟურნალისტებს და ვაჩვენებთ, რომ ხანძრის შედეგად მხოლოდ ბალახი დაიწვა.

– სამხედრო პოლიცია რა შუაშია, მაგრამ ამასთან ერთად, ნაკრძალიდან თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ „კამაზის" ტიპის მანქანებს რაღაც გამოაქვთ? რას ეზიდებიან?

– არ ვიცი. იქ არავითარი სამხედრო „კამაზები" არ დადიან.

მადონა ბატიაშვილი, ტელეკომპანია „მეცხრე არხის" კორესპონდენტი სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონებში: „30 ივლისს, საღამოს, როცა ხანძარი გაჩნდა, ნაკრძალიდან მაშინაც გამოდიოდნენ დახურული ტიპის „კამაზები" და 1 აგვისტოს, საღამოს რომ ვიყავი ვაშლოვანში, მაშინაც ვნახე 2 კამაზი, გზაზე შეგვხვდა, მოდიოდნენ. სამხედრო პოლიციას რომ ვკითხეთ, რა გადაჰქონდათ, კომენტარი არ გააკეთეს. კადრებიც არსებობს".

კახეთის საინფორმაციო ცენტრი საქართველოში მომუშავე გარემოსდაცვით ორგანიზაციებსაც დაუკავშირდა. „ბუნებისმოყვარულთა საზოგადოების" ხელმძღვანელმა კახა სუხიტაშვილმა, რომელიც კახეთის რეგიონში მუშაობს, აღნიშნა, რომ ხანძარმა ნაკრძალს რა ზიანი მიაყენა, მისთვის უცნობია. „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ქეთი გუჯარაიძემ განაცხადა, რომ მათი ორგანიზაცია ვაშლოვანის ნაკრძალთან დაკავშირებით არ მუშაობს და გვირჩია სახეობათა კონსერვაციის ცენტრ „ნაკრესისთვის" მიგვემართა. „ნაკრესის" წარმომადგენელმა ბეჟან ლორთქიფანიძემ განმარტა, რომ ხანძრის შემდეგ ვაშლოვანის ნაკრძალში მათი არცერთი წარმომადგენელი არ ყოფილა და რა ზიანი დადგა, მათთვისაც უცნობია. ამ საკითხზე ინფორმაცია არც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში აღმოაჩნდათ.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრების" ხელმძღვანელის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ხანძრის შედეგად ვაშლოვანის ნაკრძალში დამდგარი ზიანის თაობაზე ინფორმაცია არც მას აქვს. ჩხობაძის თქმით, მისთის გაუგებარია, რატომ დგას სამხედრო პოლიცია ტერიტორიაზე და რას ეზიდებიან კონტეინერებით ეროვნული პარკიდან. „რა უნდა იქ ამხედრო პოლიციას? იარაღი გამოსცადეს? ისე არა, როგორც ტროპიკულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენთანაც აქვს საკმლის ხეებს ეთერზეთები. საკმარისია ასანთი აანთო და ცეცხლი გაჩნდეს. უცნაურია, რაც იქ ხდება. სამწუხაროდ არ ვარ თბილისში, თორემ აუცილებლად ჩავიდოდი ვაშლოვანის ეროვნულ პარკში და მაინტერესებს წინ ვინ დამიდგებოდა", – განაცხადა გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა ნინო ჩხობაძემ.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ხანძარი 30 ივლისს, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა. გარემოს დაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ხანძარმა 1000 ჰექტრამდე ტერიტორია მოიცვა, სადაც ძირითადად ბუჩქნარი და ბალახი დაიწვა. „ხანძარი არ გავრცელებულა ხე-მცენარეებზე. ადგილზე დაუყოვნებლივ შეიქმნა საგანგებო შტაბი. მობილიზებული იყო თავდაცვის, შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროების შესაბამისი ძალები და ადგილობრივი მეხანძრეები. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე. სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მოხერხდა უნიკალური სახეობების გადარჩენა. დილით ხანძრის საბოლოო ლოკალიზებისთვის სამუშაოებში ვერტმფრენებიც ჩაერთო და 9 საათისთვის ხანძარი სრულად იქნა ლიკვიდირებული", – აცხადებდნენ გარემოს დაცვის სამინისტროში.

აღსანიშნავია, რომ სამაშველო სამსახურებთან ერთად, 30 ივლისს, ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მთელი ღამის განმავლობაში ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. სამხედრო პოლიციის თანამშრომლები ტელეკომპანია „მაესტროს" და „მეცხრე არხის" ჟურნალისტებს, რომლებიც ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოების გადაღებას ცდილობდნენ, მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ და ტერიტორიასთან ახლოსაც კი არ უშვებდნენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 1 აგვისტოს ვაშლოვანის ნაკრძალში ხანძარი ისევ გაჩნდა. როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო – სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილემ დავით დუღაშვილმა განუცხადა, ხანძრის სალიკვიდაცო ღონისძიებებში ავიაციაც ჩაერთო და დაცულ ტერიტორიაზე ცეცხლის გავრცელების საშიშროება აღარ არის. „ცეცხლის ახალი კერა ერთი საათის წინ ჩავაქრეთ. მთელი ღამის განმავლობაში ვმუშაობდით. მობილიზებული იყო კახეთის სახანძრო-სამაშველო ბრიგადები. ავიაცია დაგვეხმარა და ხანძრის ლოკალიზება ისე შევძელით. ცეცხლის ახალი კერის წარმოქმნის მიზეზი ხმელი ბალახი იყო. ჩაწოლილი, ხმელი ბალახია მინდორში. ალბათ, ნაპერწკალი ჩავარდა და ხანძარი ისევ გაჩნდა. მხოლოდ მინდვრები დაიწვა. ამ დროისთვის ცეცხლის გავრცელების საშიშროება აღარ არსებობს", – განუცხადა დუღაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს 1 აგვისტოს, საღამოს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ახალგაზრდა რეჟისორები ერთობლივ ფილმზე მუშაობენ

ეკა ირემაშვილი

ახალგაზრდა რეჟისორები ერთობლივ ფილმზე მუშაობენ, რომელიც ცალ-ცალკე იქნება გადაღებული და შემდეგ გაერთიანდება. დამწყები რეჟისორები მუშაობის პროცესში მხოლოდდამხოლოდ პროფესიონალებთან ურთიერთობენ, სპეციალურად მათთვის ტარდება მასტერკლასები საუკეთესო კინორეჟისორების, კომპოზიტორების, მხატვრების მონაწილეობით. დამწყებ რეჟისორებს უკვე ესაუბრნენ ალექსანდრე რეხვიაშვილი, მიხეილ კობახიძე, კშიშტოფ ზანუსი, გია ყანჩელი. მათ სამუშაო განრიგს კი რეჟისორი ნანა ჯორჯაძე ხელმძღვანელობს. ეს პროექტი თიბისი ბანკის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით მზადდება.

ამ იუბილესთან დაკავშირებით, ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ საიუბილეო პროექტები გაახმოვანა და განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის და საზოგადოებას არაერთი სასიამოვნო სიურპრიზი ელის.

უკვე განხორციელდა პროექტები, რომლებიც ბანკმა საიუბილეოდ, წლის დასაწყისიდან დაგეგმა და ჩაატარა, თუმცა წინ კიდევ ბევრი სიახლეა.

– თიბისი ბანკმა საიუბილეო წელი მიუძღვნა ქართული კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნით 7 თვის განმავლობაში ბანკმა 7 უნიკალური პროექტი განახორციელა. იანვარში წარმოდგენილი იყო პროექტი „12 ნოველა": თიბისი ბანკმა დაიწყო ორიგინალური პროექტი – 12 ნოველა 12 მწერლისაგან, რომელთა ფოტოილუსტრაციები 12-მა ცნობილმა ფოტოხელოვანმა შექმნა. ამ ნოველებისა და ფოტოილუსტრაციებისაგან შეიქმნა წიგნი-დღიურები და კედლის კალენდრები, რომლებიც 10.000-მდე ადამიანს დაურიგდა. თებერვალი – კინოპროექტი: მწერლების მიერ შექმნილი ნოველებისაგან 12-მა შემოქმედებითმა ჯგუფმა დაიწყო 12 მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება, რომელიც წლის ბოლოს ერთ სრულმეტრაჟიან ფილმად შეიკვრება და მის პრემიერას მაყურებელი თიბისი ბანკის დაბადების დღეს, 17 დეკემბერს იხილავს. მარტი – ძველი ფილმების აღდგენა: თიბისი ბანკმა ჟურნალ „ცხელ შოკოლადთან" ერთად დაიწყო პროექტი „ქართული ფილმების კრებული", რომლის მიზანია ძველი ქართული ფილმების აღდგენა და ციფრულ ფორმატში გადატანა. პროექტის ფარგლებში უკვე აღდგენილია 4 ქართული ფილმი. აპრილი – „თიბისი არტ გალერეა": თიბისი ბანკში გაიხსნა ახალი, თანამედროვე არტ-სივრცე „თიბისი არტ გალერეა", რომლის მიზანია მაღალმხატვრული ხელოვნების წარდგენა საზოგადოებისათვის და ქართველ მხატვართა მსოფლიო მოვლენებთან ინტეგრირება. გალერეაში წელიწადში მხოლოდ ოთხი გამოფენა იმართება. „არტ გალერეამ" უკვე უმასპინძლა ზურაბ (პიკო) ნიჟარაძისა და მამია მალაზონიას ნამუშევრების გამოფენებს. მაისი – თიბისი არტარეა: თიბისი ბანკის ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა ვებ-პორტალი არტარეა.ჯი, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ მასშტაბურ ინტერნეტ- ტელევიზიას მკაცრად განსაზღვრული არეალით – კულტურა, კულტურა და ისევ კულტურა. არტარეა ტივი მოიცავს ხელოვნების ყველა სფეროს: კინო, თეატრი, მუსიკა, პოპ-კულტურა, ჯაზი, ლიტერატურა, თანამედროვე ხელოვნება... ივნისი – ლიტერატურული კონკურსი „საბა": წარმატებით შედგა ლიტერატურული კონკურსის „საბას" რიგით მე-10 დაჯილდოების საიუბილეო ცერემონიალი, რომლის დროსაც გამოვლინდა 2011 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები 9 ნომინაციის მიხედვით. ივლისი – ელექტრონული წიგნების სახლი „საბა": თიბისი ბანკმა საზოგადოებას წარუდგინა ელექტრონული წიგნების სახლი „საბა", ეს არის ინოვაციური ვებსივრცე მისამართზე საბა.კომ.ჯი, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო თანამედროვე ლიტერატურის ელექტრონულ ვერსიებს – ლიტერატურული პრემია „საბას" სხვადასხვა წლების ნომინანტ და ლაურეატ წიგნებს, ელექტრონული სახით. ეს არის ყველა იმ მსხვილი პროექტის ჩამონათვალი, რომლებიც თიბისი ბანკმა 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით დღემდე განახორციელა. თუმცა საიუბილეო ღონისძიებები გრძელდება და 11 აგვისტოს ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში თიბისი ბანკი წარმოგიდგენთ ყველასათვის საყვარელი ქართული მიუზიკლის „ვერის უბნის მელოდიების" თანამედროვე ვერსიას. მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორი, ქორეოგრაფი და კოსტიუმების მხატვარია ცნობილი ფრანგი ქორეოგრაფი რედა ბენტიფორი, მუსიკალური ხელმძღვანელი – ნიკოლოზ რაჭველი, ხოლო დამდგმელი მხატვარი და სცენოგრაფი – ცნობილი არგენტინელი დიზაინერი სანტიაგო (ტატო) ფერნანდესი, – განაცხადა ბანკის გენერალურმა დირექტორმა.



3 აგვისტოს კი ლისის ტბაზე გაიხსნა ლისის ტბის განახლებული სარეკრიაციო ზოლი და თიბისი სტატუსის ლაუნჯი. საღამოზე შედგა ჩარლი ჩაპლინის ფილმის (ზი კიდ) პროექცია, რომელსაც ცოცხალი აკომპანირება მუსიკოსმა გიგი ვანდერმა გაუწია.

გარდა ამისა, იუბილარი ბანკი წლის ბოლომდე კიდევ არაერთ სიახლეს სთავაზობს ხელოვნების მოყვარულებს. თიბისი ბანკის ეზოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდება ცოცხალი მუსიკის საღამო, ხოლო დეკემბერში, ბანკის დაბადების დღეზე, ბანკი წარმოადგენს ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილ სრულმეტრაჟიან ფილმს, რომლის პრემიერაც 17 დეკემბერს შედგება.

# გიგა კუხიანიძე საბავშვო ევროვიზიის ქართველ კონკურსანტებთან იმუშავებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ოთხი ბავშვი შეარჩია, რომლებსაც ერთ ჯგუფში გააერთიანებს.

ნათია უზნაძის თქმით, „შესანიშნავ ოთხეულში" სამი გოგონა და ერთი ბიჭი გაერთიანდნენ. ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ქეთი სამხარაძე, ნინი დაშნიანი, ელენე არაჩაშვილი და ლუკა ყარმაზანაშვილი არიან, საქართველოს 2012 წლის საბავშვო ევროფესტივალზე წარადგენს.

ჯგუფის წევრები კომპოზიტორის დახმარებით ეროვნული კონკურსისთვის რამდენიმე სიმღერას მოამზადებენ. საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს საკონკურსო სიმღერა ფინალური კონცერტის შედეგად გამოვლინდება. ეროვნული კონკურსის ფინალი სექტემბერში გაიმართება. კომპეტენტური ჟიურისა და მაყურებლის ხმის მიცემის შედეგად ცნობილი გახდება ის სიმღერა, რომელსაც ბავშვები წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე შეასრულებენ.

თუ ვინ არიან წლევანდელი კონკურსანტები და რა შემოქმედებითი გზა გაიარეს საბავშვო ევროვიზიამდე, ამის შესახებ ნათია უზნაძე აღნიშნავს:

– ოთხივე ბავშვი საკმაოდ ნიჭიერია. საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, წელსაც ჩვენი ქვეყანა ჯგუფმა წარადგინოს საბავშვო ევროვიზიაზე. თითოეული მომღერალი უკვე წარმატებული მომღერალია და თავისი ასაკისთვის ბევრი გამარჯვება აქვს მოპოვებული. ქეთი სამხარაძე 13 წლისაა. ის ბორჯომელია, ქეთი ანსამბლის „პატარა ქართველები" წევრია. 2010 წელს პროექტში „ანა-ბანა" პირველი ადგილის მფლობელი გახდა, პირველი ადგილი მოიპოვა იტალიაში გამართული საგუნდო მუსიკის ფესტივალში. გასულ წელს გოგი დოლიძის ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა, შარშანვე საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსში მეორე ადგილი მოიპოვა. ქეთი ამჟამად სტუდია „ენკი-ბენკიში" სწავლობს. ნინი დაშნიანი 11 წლისაა, რომელიც ქალაქ ბრიუსელში დაიბადა. სწავლობს 52-ე საჯარო სკოლაში, ამავე დროს, მეშვიდე მუსიკალური სასწავლებლის წარმატებული სტიპენდიატია, მონაწილეობდა მიუზიკლში „ოლივერი". ლუკა ყარმაზანაშვილი 12 წლისაა, მუსიკალურ კონკურსზე „ვარსკვლავები 2008" პირველი ადგილის მფლობელი გახდა, მონაწილეობდა პროექტში „ნიჭიერი", ანიმაციურ ფილმში „სკუპი" მთავარ გმირს ახმოვანებს. ჯგუფის მეოთხე წევრია 10 წლის ელენე არაჩაშვილი, რომელიც სწავლობს დამოუკიდებელ საერო გიმნაზიაში „შავნაბადა" და „ბზიკების სტუდიაში", უკრავს ფორტეპიანოზე. ეს არის ჩვენი წლევანდელი ჯგუფი, რომელიც საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე პირველ დეკემბერს ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში წარადგენს.

საქართველო საბავშვო ევროვიზიის კონკურსში 2007 წლიდან მონაწილეობს. ამ წელს როტერდამში მარიამ რომელაშვილმა სიმღერით „ოდელია რანუნი" მეოთხე ადგილი დაიკავა, შემდგომ წელს კვიპროსზე საქართველოს წარგზავნილმა ჯგუფმა „ბზიკებმა" სიმღერით „ბზზ" გამარჯვება მოიპოვა, 2009 წელს კიევში ჯგუფმა „პრინცესებმა" სიმღერით „ლურჯი ფრინველი" მეექვსე ადგილი დაიმსახურა, მომავალ წელს საბავშვო ევროვიზიას მინსკმა უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს სახელით მონაწილეობა მარიამ კახელიშვილმა მიიღო სიმღერით „მარი-დარი" და მეოთხე ადგილს დასჯერდა. გასულ წელს კი საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ქენდი" სიმღერით „ქენდი მიუზიკ" გამარჯვება მოიპოვა. „ქენდიმ" საბავშვო ევროვიზიაზე გამარჯვების შემდეგ ზაფხულში ამაღლებული და კიდევ უფრო მხიარული განწყობის შესაქმნელად ვიდეოკლიპი „სამარ დეი" (ზაფხულის დღე) გადაიღო. სიმღერა ზაფხულის ცხელ დღეს, გართობასა და დასვენებას ეძღვნება და ხალისიან განწყობას ქმნის. რიგით მეცხრე საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „ქენდი" გახდა. საკონკურსო სიმღერით ჯგუფმა 108 ქულა მოიპოვა.

საქართველოს მსგავსად, უკვე ცნობილია სხვა ქვეყნების კონკურსანტთა ვინაობაც. რუსეთს წელს საბავშვო ევროვიზიაზე ლერიკა წარადგენს. მან სატელევიზიო შოუს შედეგად 20 კონკურსანტს შორის გაიმარჯვა. ლერიკამ გასული წლის საბავშვო ევროფესტივალზე მოლდოვა წარადგინა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ვალერია ენგალიჩევა. ახალგაზრდა შემსრულებელმა მსოფლიოს მასშტაბით არაერთ მუსიკალურ კონკურსში მიიღო მონაწილეობას და წარმატებასაც მიაღწია, მას გამოშვებული აქვს ორი ალბომი.

უკრაინას კი მომღერალი ანასტასია წარადგენს. გოგონამ ნახევარფინალისტებს შორის ჟიურისა და მაყურებლის ერთობლივი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. უკვე გარკვეულია შვედეთის კონკურსანტის ვინაობაც. წლევანდელ საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე შვედეთს 13 წლის ლოვა სონერბო წარადგენს. მან ნაციონალურ ფინალზე რვა კონკურსანტს შორის გაიმარჯვა.

რიგით მეათე საბავშვო ევროფესტივალს წელს ჰოლანდია მასპინძლობს. ევროპის მაუწყებელთა კავშირმა და ჰოლანდიის მაუწყებელმა გაახმოვანეს, რომ კონკურსი 2012 წლის პირველ დეკემბერს ,,ჰეინეკენის მიუზიკ ჰოლში" ჩატარდება.

– ,,ჰეინეკენის მიუზიკ ჰოლი" ცნობილია უნიკალური აკუსტიკითა და ,,შავი ყუთის" კონცეფციით. ,,ჰეინეკენის მუზიკ ჰოლი" გასულ წელს გაიხსნა და მთელ მსოფლიოში მოიპოვა აღიარება. დაჯილდოებაზე „ოლსტარ ევარდს" იგი საუკეთესო საერთაშორისო მუსიკალურ ადგილად დაასახელეს. ცნობილია საბავშვო ევროფესტივალის წამყვანების ვინაობაც – ისინი კიმ-ლიენი და ევოუთი იქნებიან. ჰოლანდიამ საბავშვო ევროფესტივალს 2007 წელს როტერდამში უმასპინძლა, ხოლო საბავშვო ევროვიზიის კონკურსის გამარჯვებული 2009 წელს გახდა.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5
ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



**უფყნ[ფლტ,ტ,ბ**

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ, სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში". მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი" გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

# აფხაზეთის კაპელა კონცერტებს იტალიაში გამართავს

აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა იტალიაში კონცერტებს მართავს. ღონისძიებები ასოციაციის „ქართული კულტურა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ“ და მისი პრეზიდენტის გიული ალასანიას ინიციატივით იმართება. აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა იტალიაში ფესტივალ „ჩვენებურების“ ფარგლებში გაემგზავრა და კონცერტებსაც ჩაატარებს. პროექტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და იტალიის ქართული დიასპორის მხარდაჭერით ხორციელდება. ფესტივალის ფარგლებში კონცერტები დაგეგმილია რომში და კოლიბრიაში. ფესტივალზე შესრულდება თანამედროვე საგუნდო მუსიკისა და ქართული ფოლკლორის გამორჩეული ნაწარმოებები როგორც ევროპელი მსმენელისთვის, ასევე ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის.

აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები კი უკრაინაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობენ. პროექტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოში უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. აფხაზეთიდან დევნილი 12-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდები ბავშვთა მე-11 საერთაშორისო ფესტივალში „მოდით, შევცვალოთ სამყარო უკეთესობისკენ“ მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც უკრაინაში, „არტეკის“ საერთაშორისო საბავშვო ცენტრში გაიმართება. დევნილი მოზარდები უკრაინაში თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან უკვე გაემგზავრნენ. ბავშვები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა თეიმურაზ მაისურაძემ პირადად გააცილა. ფესტივალზე ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ მსოფლიოს ხალხთა კულტურას და თავად წარმოაჩინონ საქართველოს კულტურული ტრადიციები. ბავშვები ასევე ჩაერთვებიან ერთალიგის მესამე გენერალური ასამბლეის მუშაობაში, სადაც, მსოფლიოს მრავალ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში ბავშვთა უფლებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

„არტეკში“ საქართველოდან ყოველთვის ჩადიან ქართველი ბავშვები. გასულ წელს „არტეკს“ მარიამ კახელიშვილი და ანა ხანჩალიანი ესტუმრნენ, სადაც კონცერტებიც გამართეს და იქაური მსმენელიც შოკირებული დატოვეს. ამჯერად კი „არტეკს“ აფხაზეთიდან დევნილმა ბავშვებმა მიაშურეს.

თბილისის კულტურული ცენტრის მხარდაჭერით კი მერაბ ბერძენიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გაიმართა ფესტივალი „ჩვენ, დევნილები მშობლიური აფხაზეთიდან, ვართ მლტოლველები ბედნიერი საქართველოსკენ“, რომელიც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით მოეწყო. ფესტივალში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელოვნებო სფეროში მოღვაწე მოზარდები. ღონისძიება ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი 2“-ის ორგანიზებით ჩატარდა.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი თეიმურაზ მაისურაძე განმარტავს, მსგავსი ღონისძიებები იმაზე ხშირად უნდა ტარდებოდეს, ვიდრე ეს რეალურად ხდება, რადგან სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში, სადაც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები სწავლობენ, არაერთი ნიჭიერი მოზარდია, რომლებსაც ფართო საზოგადოების წინაშე წარდგენა და შესაბამისი ხელშეწყობა სჭირდებათ.

*ეკა ირემაშვილი*

# ფილიპ ლამი: მერლეს სამზარეულოში ვეხმარები“

„ბაიერნის“ კაპიტანი ფილიპ ლამი გუნდ შეკრებაზე არ ახლავს. ამის მიზეზი ის არის, რომ ფეხბურთელს ტრავმა აქვს და ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. ლამი გუნდს არც აზიურ შეკრებაზე გაჰყოლია, სადაც ბავარიული კლუბი მორიგი სეზონისთვის ემზადება.

ლამის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— როგორც ჩანს, მიუნხენში მხოლოდ ვარჯიშებით არ იყავით დაკავებული. ორშაბათს კლუბის შეფმზარეულის მიერ ორგანიზებულ წვეულებსაც დაესწარით.***

— დიახ, საკმაოდ მხიარული შეხვედრა იყო. ხანდახან მომწონს კიდევაც ასეთი საღამოები. ისე, ძირითადად, შინ, მეუღლესთან ერთად ვსადილობ ხოლმე.

***— თავად თუ გიყვართ სადილების მზადება?***

— სიმართლე თუ გინდათ, ძალიან იშვიათად ვამზადებ რამეს. ძირითადად მეუღლეს ვეხმარები სამზარეულოში. ამ მხრივ ის მე მიგებს.

***— შვებულების დროს რითი იყავით დაკავებული?***

— დასვენება ზაფხულზე სულ რამდენიმე კვირა გვიწევს ხოლმე, ზამთარში კიდევ უფრო ცოტა, ასე რომ, ამ დღეების გამოყენებას მაქსიმალურად ვცდილობ. საბედნიეროდ, ძალების ბოლომდე აღდგენა მოვასწარი.

***— ბოლომდე მოახერხეთ განტვირთვა თუ მაინც გაგყვათ რამეზე დარდი?***

— რაღაცნაირად ვახერხებ ხოლმე, რომ არაფერზე ვიფიქრო, მაგრამ მხოლოდ 1 კვირა, მაქსიმუმ 10 დღე. ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღკვეთო ნებისმიერი ფიქრი სპორტულ თემატიკაზე. შემდეგ ნოსტალგია ისევ იწყება და მოედანზე დაბრუნებას მოუთმენლად ველი.

***— ჩოგბურთის თამაში გიყვართ, ასეა?***

— ამ ზაფხულს კორტზე გასვლა 7-ჯერ მოვახერხე და იქ მინიმუმ 2 საათს ვატარებდი. ეს მხოლოდ განტვირთვა არ არის. თამაშის დროს მოკლე გარბენები ხშირად გიწევს, რაც ძალიან ჰგავს საფეხბურთოს. ასე რომ, გარკვეულწილად, ჩემთვის მომზადებაც არის.

***— გუნდთან ერთად ჩინეთში არ წასულხართ.***

— ამ თემაზე მწვრთნელთან ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ვილაპარაკე. რამდენიმე წელიწადია, პრაქტიკულად, პაუზის გარეშე ვთამაშობ, სწორედ ამიტომ ჩემთვის უკეთესი იყო, რომ ეს შეკრება გამომეტოვებინა.

***— მიუნხენში მზადების პირველმა კვირამ როგორ ჩაიარა?***




— ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, თანაც დღეში ორჯერ, ოღონდ ოთხშაბათს ვისვენებდი. აქცენტი უფრო ამტანობაზე გავაკეთე. ოთხშაბათობით დუბლიორებთან ერთად ბურთით ვემზადებოდი.

***— თასის პირველ ეტაპზე „რეგენსბურგთან“ მატჩამდე ცოტა დრო დარჩა. გეყოფათ ფორმაში შესასვლელად?***

— არ იქნება პრობლემა, რადგან, კარგა ხანია, რაც ასეთი გრძელი მოსამზადებელი პერიოდი არ მქონია. სხვა საქმეა, რამდენად იქნებიან ფორმაში ნაკრების სხვა წევრები. ჩინეთში მოგზაურობა საკმაოდ დამღლელი იქნებოდა. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სიტუაცია ბევრად უფრო რთული იყო.

***— რას ფიქრობთ სპორტულ დირექტორად მათიას ზამერის დანიშვნაზე?***

— მას ჯერ კიდევ „შტუტგარტში“ თამაშის პერიოდიდან ვიცნობ. ის ჩემი მთავარი მწვრთნელი იყო. ჩვენი გზები ნაკრებშიც იკვეთებოდა. ერთმანეთის მიმართ ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა და ახლაც ასეა.

***— გაგიკვირდათ ეს გადაწყვეტილება?***

— დიახ, ისევე, როგორც სხვებს. ეს ამბავი იმ დღესვე გავიგე, როცა კრისტიან ნერლინგერი გაათავისუფლეს.

***— არ გაკვირვებთ ის მომეტებული ინტერესი, რომელსაც მედია იჩენს საკადრო გადაადგილებებთან დაკავშირებით?***

— არა, რადგან „ბაიერნისთვის“ ეს ჩვეული მოვლენაა. ახალი ფეხბურთელი მოვა ჩვენთან თუ ფუნქციონერი, ეს განსჯის საგანი ყოველთვის ხდება ხოლმე და სულაც არ არის ცუდი, რადგან კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ გერმანიაში სწორედ „ბაიერნი“ აწესებს სტანდარტებს.

***— რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მოვიდა. რას ფიქრობთ სატრანსფერო გადაწყვეტილებებზე?***

— ცხადია, ახლა უკეთ ვართ დაკომპლექტებული, ვიდრე წინა სეზონში.

***— პისაროსა და სხვების შეძენა „ბაიერნის“ თამაშს უფრო ძნელად განსაჭვრეტს გახდის?***

— მინიმუმ იმის საშუალებას მაინც მოგვცემს, რომ ორი სქემა გამოვიყენოთ. პისას უკვე დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, რომ კარგი ცენტრფორვარდია. ისიც და მანჯუკიჩიც თავით ძალიან კარგად თამაშობენ. შაჩირის წყალობით ნახევარდაცვაშიც მეტი არჩევანი გვაქვს. დაცვაში დანტეს მოსვლის შემდეგ კონკურენცია გაიზარდა. ვაიზერს თითქმის ყველგან შეუძლია თამაში, შტარკე კი ნოიერს მისცემს ამოსუნთქვის საშუალებას. ქაღალდზე ყველაფერი იდეალურად გამოიყურება, ახლა მთავარია, ეს ყველაფერი მოედანზე დავამტკიცოთ. ეს მხოლოდ ახალწვეულებს კი არა, შარშანდელი შემადგენლობის ხალხსაც ეხება.

# სეზონის დაწყებამდე

4 აგვისტოს საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“, რომელიც 24-ე ეროვნული ჩემპიონატის სტარტისათვის ზესტაფონში ემზადება, საკონტროლო მატჩი გამართა. ქვეყნის ჩემპიონთა სპარინგ-პარტნიორი საფეხბურთო კლუბი „გაგრა“ გახლდათ.

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა დიდი სათამაშო უპირატესობით წარიმართა, რამაც სათანადოთ ასახვა ანგარიშშიც ჰპოვა – ზესტაფონელებმა ტაიმი 3-0 მოიგეს.

უკვე მე-4 წუთზე ანგარიში შოთა ბაბუნაშვილმა გახსნა, ამის შემდეგ კი ორჯერ (მე-9 და მე-40 წუთებზე) თავი იომი ოვონიკოკომ გამოიჩინა.

მეორე ნახევრის დებიუტში გაგრელები გააქტიურდნენ კი ჯონი ჯერემიას გოლის წყალობით ანგარიშის „დასველება“ მოახერხეს.

ტაიმის ასეთი დასაწყისის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ბრძოლა მაინც ვერ შედგა, რადგანაც „ზესტაფონმა“ კიდევ სამი გოლით დაამწუხრა სტუმრები – გოლები მიშიკო სარდალიშვილის (74-ე წუთი), გურამ სამუშიას (75-ე წუთი) და ოთარ კვერნაძის (82-ე წუთი) ანგარიშზეა.

ზესტაფონელებმა დიდი ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს.

„გაგრასთან“ შეხვედრაში ზესტაფონელებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზეს:

კვასხვაძე (მამალაძე 46), თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, კაჭკაჭიშვილი, რაჟამაშვილი (კობახიძე 46), მენთეშაშვილი (გორგიაშვილი 46), აფციაური (სარდალიშვილი 46), ბაბუნაშვილი (შარიქაძე 46), ჭანტურიშვილი (სამუშია 46), მუჯირი (გუგუჩია 46), ოვონიკოკო (კვერნაძე 46).

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე თბილისის „დინამომ“ მორიგი სპარინგი გამართა. ამჯერად უმცროსი დუშან უჰრინის გუნდის მეტოქე სტუ იყო.

დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარებულ ტესტ-მატჩში დინამოელებმა დიდი ანგარიშით – 8:2 იმარჯვეს.

„დინამომ“ შემდეგი შემადგენლობით იასპარეზა:

ლორია, ძარია, კვარაცხელია, სეთურიძე, ვოსკობოინიკოვი (კონე 46), კოტო (რობერტინიო 65), მერებაშვილი (ობოტოლა 54), ხმალაძე, ჩისკო (იაგუე 79), ხიზანეიშვილი (გლიშიჩი 77), რეხვიაშვილი.

ქუთაისის „ტორპედოში“ კაპიტნის არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ხმის მიცემა ფარულად მიმდინარეობდა.

კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საპატიო სტატუსი წილად ხვდა „ტორპედოს“ ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, მეკარე ომარ მიგინეიშვილს.

პირველი-მეორე ვიცე-კაპიტნები, შესაბამისად, ალექსანდრე კვახაძე და გიორგი დათუნაიშვილი გახდნენ.

# ისევ უმედლოდ

ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა უმედლოდ დაასრულა კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა, ტანმოვარჯიშე ლიუბა გოლოვინამ.

გოლოვინამ ბატუტზე ხტომაში მეშვიდე ადგილი დაიკავა, რაც ქართველ ოლიმპიელთა შორის ყველაზე მაღალი შედეგია ძიუდოისტ ლაშა შავდათუაშვილის ჩემპიონობის შემდეგ.

22 წლის სპორტსმენმა დამაჯერებლად დაძლია კვალიფიკაცია – საწყისი ორი ვარჯიშის შემდეგ 101.740 ქულა დააგროვა და ფინალისტ რვეულს შორის მეექვსე შედეგი ჰქონდა, ფინალში კი მან ერთი პოზიციით გააუარესა შედეგი.

გოლოვინასთვის ეს მეორე ოლიმპიადა იყო. ოთხი წლის წინ პეკინში მან მეექვსე ადგილი დაიკავა.

– სამი დღის წინ ვარჯიშის დროს ბატუტიდან ჩამოვვარდი და ფეხი ძალიან მეტკინა. ვფიქრობდით, რომ ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ გადახვეული ფეხით მაინც გამოვედი. სამწუხაროდ, ბოლომდე ძალას ველარ დავატანე და ხელი ძალიან შემეშალა. ამის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევაც წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. სამწუხაროდ, პეკინური შედეგი ვერ გავაუმჯობესე. არადა, როგორ ვემზადებოდი, – განაცხადა გამოსვლის შემდეგ გოლოვინამ.

ქართველ მძლეოსანთა ოთხეულიდან ოლიმპიურ ტურნირში პირველი ჩაერთო სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძე, რომელმაც ვერ შეძლო ფინალში გასვლა.

სხირტლაძეს საკვალიფიკაციო რაუნდში სამი ცდა ჰქონდა და მათგან საუკეთესო იყო 7.26 მეტრი, რაც 0.82 მეტრით ნაკლებია მის პირად რეკორდზე. ამ შედეგით ქართველმა მძლეოსანმა 42 მონაწილეს შორის მხოლოდ 35-ე ადგილი დაიკავა და, ბუნებრივია, ფინალურ 12-ეულში ვერ მოხვდა.

აღსანიშნავია, რომ ამ დისციპლინაში ზოგადად ძალზე დაბალი შედეგები დაფიქსირდა. ვერავინ გადახტა 8.11 მეტრზე შორს, ხოლო 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა, პანამელმა ირვინგ სალადინომ სამივე ცდა გააცუდა და საერთოდ ფინალს მიღმა დარჩა.

# ქართველებმა ისევ წააგეს

**ავსტრია – საქართველო 89:77**

(23:19, 18:15, 23:18, 25:25)

საქართველოს ეროვნული ნაკრების წარუმატებელი თამაში. იგორ კოკოშკოვის გუნდმა მორიგი საკონტროლო მატჩი წააგო. ამჯერად ქართველთა მომგებნი ავსტრიელები გამოდგნენ, რომლებმაც 89:77 იმარჯვეს.

ბოლო მეოთხედის გარდა, ავსტრიელებმა ყველა ათწუთეულში იმარჯვეს. პირველი პერიოდი მასპინძლებმა 23:19 მოიგეს, მეორე – 18:15, ხოლო მესამეში 23:18 იძალეს. ბოლო მეოთხედი ფრედ – 25:25 დასრულდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველომ ვერ მოახერხა თამაშის გადარჩენა.

საქართველოს ნაკრები თბილისში ხვალ დაბრუნდება და ევრობასკეტ 2013-ის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

იაპონია-ეგვიპტე ........ 3:0
მექსიკა-სენეგალი ........ 4:2(დდ0
ბრაზილია-ჰონდურასი ........ 3:2
დ.ბრიტანეთი-ს.კორეა ........ 1:1(4:5პ)

**გერმანია. ლიგის თასი**

გლადბახი-ჰამბურგი ........ 1:0
ბაიერნი-ვერდერი ........ 2:2(2:4პ)

**გერმანია. 2-ე ბუნდესლიგა**

ბოხუმი-დინამო ........ 2:1

**საფრანგეთი. 2-ლიგა**

კანი-ოსერი ........ 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ალანია-ტერეკი ........ 5:0
ცსკა-ზენიტი ........ 1:3
კრასნოდარი-ლოკომოტივი ........ 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-აბერდინი ........ 1:0
კილმანროკი-დანდი ........ 0:0
როსი-მოზერველი ........ 0:0
სტ.მირენი-ინვერნესი ........ 2:2
ჰართსი-სტ.ჯონსონი ........ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-გრასჰოპერსი ........ 1:1
სიონი-ბაზელი ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვულფსბერგერი-ზალცბურგი ........ 0:2
მატერსბურგი-შტურმი ........ 3:1

**ბელგია. პროლიგა**

შარლერუა-ბრიუგე ........ 0:1
ანდერლეხტი-ბეერსხოტი ........ 1:0
ვაასლანდი-მეხელენი ........ 0:0
ლოკერენი-მონსი ........ 2:2
სერკლი-კორტრაიკი ........ 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

კარპატი-ტავრია ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-ნორდსიელანდი ........ 1:1
ესბიერგი-კოპენჰაგენი ........ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-ატვიდაბერგი ........ 2:2
სირიანსკა-გეფლე ........ 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ჰონეფოსი-სტრომგოდსეტი ........ 1:1
მიოლდე-სონგდალი ........ 2:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მიუპა-ლახტი ........ 3:1
ჰიკი-ვაასა ........ 3:3

**აშშ. მლს**

დ.ს.იუნაიტედი-კოლამბუსი ........ 1:0
მონრეალი-ფილადელფია ........ 2:0
ნიუ ინგლენდი-კანზასი ........ 0:1
ჩიკაგო-ტორონტო ........ 2:1
კოლორადო-სოლტ ლეიკი 1:0

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(გ)-ბოტაფოგო ........ 1:1
პალმეირასი-ინტერნასიონალი ........ 0:1
პორტუგეზა-ფიგეირენსე ........ 2:0

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

რასინგი-რაფაელა ........ 1:1
კოლონი-ლანუსი ........ 1:0
ქილმესი-ბოკა ........ 1:0
ოლდ ბოიზი-ინდეპენდიენტე ........ 0:0

**კალათბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

ტუნისი-საფრანგეთი ........ 69:73
რუსეთი-ესპანეთი ........ 77:74
ლიტვა-აშშ ........ 94:99
ჩინეთი-ბრაზილია ........ 59:98
დ.ბრიტანეთი-ავსტრალია ........ 75:106
ნიგერია-არგენტინა ........ 79:93

**ქალები**

აშშ-ჩეხეთი ........ 88:61
საფრანგეთი-რუსეთი ........ 65:54

**ამხანაგური მატჩები**

იტალია-ჩერნოგორია ........ 78:72
სერბეთი-ბოსნია ........ 101:91
სლოვენია-ხორვატია ........ 83:76
პოლონეთი-ლატვია ........ 99:74

**წყალბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

ჩერნოგორია-რუმინეთი ........ 12:8
ხორვატია-ავსტრალია ........ 11:6
ესპანეთი-საბერძნეთი ........ 11:9
იტალია-ყაზახეთი ........ 9:6
უნგრეთი-დ.ბრიტანეთი ........ 17:6
სერბეთი-აშშ ........ 11:6

**ფრენბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

გერმანია-ტუნისი ........ 3:0
პოლონეთი-დ.ბრიტანეტი ........ 3:0
იტალია-ავსტრალია ........ 3:2
რუსეთი-აშშ ........ 3:2
ბრაზილია-სერბეთი ........ 3:2

**ქალები**

დომინიკების რესპ.-ალჟირი ........ 3:0

**ხელბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

**კაცები**

ტუნისი-დ.ბრიტანეთი ........ 34:17
სერბეთი-ს.კორეა ........ 28:22
შვედეთი-არგენტინა ........ 29:13
დანია-ხორვატია ........ 21:32
საფრანგეთი-ისლანდია ........ 29:3

**ჩოგბურთი**

**ოლიმპიური თამაშები**

**ქალები. ფინალი**

უილიამსი!ს-შარაპოვა ........ 6:0;6:1

*მე-3 ადგილისთვის*

აზარენკა-კირილენკო ........ 6:3;6:4

## მამალი სხვის ეზოში გადასვლის გამო დააკავეს



არგენტინაში დააკავეს მამალი, რომელიც სხვის ეზოში შეიპარა და ძვირადღირებული ინდაური ნიღაბი დაკენკა. ეს შემთხვევა ქალაქ ფორმოსში მოხდა. ეჭვმიტანილი დამნაშავე მამალი ვინმე ლილიანა რიოსმა დააკავა, პოლიციაში მიიყვანა და მისი ციხეში ჩასმა მოითხოვა.

მან განაცხადა, რომ შინ ყოფნის დროს ეზოდან ძაღლის ყეფა გაიგონა, გარეთ გამოსულმა კი დაინახა, თუ როგორ აფუჭებდა მამალი ბოლივიიდან ჩამოტანილ ძვირფას საჩუქარს.

პოლიციელებმა მამლის მფლობელი იპოვეს, მაგრამ მან ზარალის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა. სამართალდამცავებმა ფრინველი წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს.

მომჩივანი ამტკიცებს, რომ მამლის მფლობელს სასამართლოში უჩივლებს და მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს.

იურისტებს კი მიაჩნიათ, რომ ეს პროცესი ქვეყნის იურიდიული პრაქტიკის ისტორიაში შევა, რადგან მამალი განსასჯელთა სკამზე დღემდე არ მოხვედრილა.

იურისტებმა მამალზე საგანგებოდ გაამახვილეს ყურადღება, რადგან ფრინველი არგენტინაში წარსულშიც გაუსამართლებიათ. 2006 წელს ციხეში მოათავსეს თუთიყუში, რომელმაც საკანში რამდენიმე კვირა გაატარა.

მოლაპარაკე ფრინველს ორი მეზობელი ედავებოდა ერთმანეთს. ორივე ამტკიცებდა, რომ სწორედ ის იყო თუთიყუშის პატრონი. მოსამართლემ მიიჩნია, რომ თუთიყუში ციხეში უნდა მოეთავსებინათ მანამდე, სანამ თავად არ იტყოდა, თუ ვინ იყო მისი პატრონი. რამდენიმე კვირის შემდეგ თუთიყუშ პეპოს მფლობელის სახელი წამოსცდა. „ვიცოდი, რომ არ მიღალატებდა, — ამბობდა გახარებული პატრონი, — ფეხბურთის საყვარელ გუნდს ერთად ვგულშემატკივრობდით“.

ცხოველებისა და ფრინველების გასამართლების პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც არსებობს. ინდოეთიდან პაკისტანში გადასული მაიმუნი პენჯაბის პროვინციის ხელისუფლებმა ინდოეთის ჯაშუშად მიიჩნიეს და დააკავეს, ხოლო ბულგარეთში დააკავეს თხა, რომელსაც პრეზიდენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს უკანონო აგიტაციის ბრალდებები წაუყენეს.

## პრინცი უილიამის მეუღლე ყველაზე მოდურად ჩაცმული ქალია

ბრიტანელი პრინცის, უილიამის მეუღლე, ჰერცოგის ქალი ქეით მიდლტონი და მისი მაზლი, უილიამის ძმა, პრინცი ჰარი, დიდი ბრიტანეთის ყველაზე მოდურად ჩაცმულ ადამიანებად დაასახელეს.

ჟურნალ „ვენითი ფეას“ რეიტინგის თანახმად, ქეით მიდლტონი ყველაზე მოდურად ჩაცმული ქალბატონია, მისი ფოტოსურათი კი ჟურნალ „ვენითი ფეა სთაილის“ სექტემბრის ნომრის გარეკანს დაამშვენებს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ქეით მიდლტონის გარდერობს სამეფო ოჯახმა 45 ათასი გირვანქა სტერლინგი დაახარჯა. ქეით მიდლტონი სამოსს თავად ირჩევს და ალექსანდრ მაქუინის, მეთიუ უილიამსონის, ელის ტემპერლის მარკებს ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, მის გარდერობში შედარებით ნაკლებად ცნობილი მოდელიორების ტანისამოსიც შეიძლება იხილოთ.

ყველაზე მოდურად ჩაცმულ ქალთა რეიტინგში მოხვდნენ აგრეთვე მონაკოს მთავრის დისწული შარლოტა კაზირაგი, დანიის პრინცესა მერი, მომღერალი ალისია კისი, მსახიობები დაიანა კრიუგერი, ლეა სეიდუ და ფან ბინბონი.

ყველაზე მოდურად ჩაცმულ მამაკაცებს შორის პრინცი ჰარის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა ამერიკელი ფეხბურთელი ტომ ბრედი, ფოტომოდელ ჟიზელ ბანდხენის მეუღლე. მესამე ადგილზეა რეპერი ჯეი ზეთ.

ყველაზე მოდურად ჩაცმულ წყვილად ექსპერტებმა მსახიობი კოლინ ფარელი და მისი მეუღლე ლივია მიიჩნიეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ბრიტანეთში საუკეთესო ფილმების ახალი რეიტინგი შეადგინეს



ბრიტანეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა ყველა დროის საუკეთესო ფილმების მორიგი რეიტინგი შეადგინა, რომელშიც 50 სურათი მოხვდა.

სიას სათავეში ჩაუდგა ალფრედ ჰიჩკოკის თრილერი „თავბრუსხვევა“. ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ჯეიმს სტიუარტი, კიმ ნოვაკი და ბარბარა ბელ ბედესი ასრულებენ, ეკრანზე 1958 წელს გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ მაშინ კრიტიკა ამ ფილმს მეტად თავშეკავებით შეხვდა, გარდა ამისა, ფილმმა ვერც სალაროს შემოსავლებით გამოიჩინა თავი.

მეორე ადგილზე ორსონ უელსის „მოქალაქე კეინი“ გავიდა. მესამეზე იაშუძირო ოძუს „ტოკიო მონოგატარი“.

ბრიტანეთის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი ამ სახის რეიტინგებს ათ წელიწადში ერთხელ ადგენს. პირველი რეიგინგი 1952 წელს შეადგინეს. პირველ რეიტინგში პირველ ადგილზე ვიტორიო დე სიკას „ველოსიპედის გამტაცებლები“ გავიდა, შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ პირველი ადგილი „მოქალაქე კეინმა“ დაიკავა.

წლევანდელ რეიტინგში მეოთხე ადგილზე ჟან რენუარის „თამაშის წესები“ გავიდა (1939), მეხუთეზე ამერიკის კინოაკადემიის პირველი ცერემონიალის გამარჯვებული „აისი: ორი ადამიანის სიმღერა“ (1929). შემდეგ მოდიან სტენლი კუბრიკის „2001: კოსმოსური ოდისეა“ (1968), ჯონ ფორდის „მაძიებლები“ (1956), ძიგა ვერტოვის „ადამიანი კინოკამერით“ (1929), კარლ დრეიერის „ჟანა დარკის ვნებანი“ (1927) და ფედერიკო ფელინის „რვანახევარი“.

**გ.თ.**

## სტივი უანდერი ცოლს შორდება



ცნობილი ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი და პროდიუსერი სტივი უანდერი მეუღლეს, ქალის ტანისამოსის დიზაინერ კეი მილარდს შორდება. სტივი უანდერი, ე.წ. შავი მუსიკის უსინათლო შემსრულებელი, 62 წლისაა. მისი ნამდვილი სახელია სტივლენდ ჰარდუეი ჯადკინსი. ცოტა ხნის წინ მან დოკუმენტები ლოს-ანჯელესის უზენაეს სასამართლოში წარადგინა. უანდერმა და მილარდმა 2001 წლის სექტემბერში იქორწინეს, ერთმანეთს 2009 წელს დაშორდნენ. მათ ორი შვილი ჰყავთ, 10 წლის კაილანდი და 7 წლის მანდლა. გაზეთების ინფორმაციით, სტივ უანდერს შვილებზე ერთობლივი მეურვეობის მიღება სურს და მზად არის, ყოფილ ცოლს ალიმენტი გადაუხადოს. სტივი უანდერი თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მუსიკოსად არის მიჩნეული. მისმა შემოქმედებამ XX საუკუნის შუა წლების სოულსა და რიტმ ენდ ბლუზს წარუშლელი კვალი დაამჩნია. კარიერის განმავლობაში იგი 25-ჯერ იყო გრემის მფლობელი, არის როკ-ნ-როლის დიდების დარბაზისა და კომპოზიტორთა დიდების დარბაზის წევრი. ჩაწერილი აქვს 30-მდე ალბომი, არის გერშვინის სახელობის პრემიის ლაურეატი.

## ირანი და ევროკავშირი მოლაპარაკებების განახლებაზე შეთანხმდნენ

„როიტერის“ ცნობით, გუშინ, ევროკავშირისა და ირანის მთავარი მომლაპარაკებლები თეირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, მოლაპარაკების კიდევ გამართვაზე შეთანხმდნენ. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ექვსეული, ევროკავშირის საგარეო საქმეების ხელმძღვანელის კეტრინ ეშტონის ხელმძღვანელობით, ცდილობს ირანი დაარწმუნოს, რომ ბირთვული პროგრამის განვითარებაზე მუშაობა შეაჩეროს. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით უკანასკნელად გამართული მოლაპარაკებებიც უშედეგოდ დასრულდა.

— საედ ჯალილთან სატელეფონო საუბრის დროს შევთანხმდით, რომ ჩვენ კიდევ დავილაპარაკებთ ამ თვის ბოლოს, — განაცხადა ეშტონმა.

თეირანი გამუდმებით იმეორებს, რომ ქვეყანა ბირთვული იარაღის შექმნაზე არ მუშაობს და ეს პროგრამა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება. როგორც ზოგიერთი დამკვირვებელი აღნიშნავს, ირანი შესაძლოა ფიქრობს, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო, ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა შეიძლება უფრო მეტად დამყოლი გახდეს ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებისთვის ნავთობის შესყიდვაზე სრული აკრძალვა 1 ივლისს შევიდა ძალაში. ევროკავშირმა დაუყოვნებლივ აკრძალა ირანთან ნავთობის შესყიდვაზე ახალი კონტრაქტის დადება, ივლისიდან კი იმპორტზე სრული ემბარგო დაწესდა. სანქციების შემოღების მიზეზად იქცა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მოხსენება. მასში ნათქვამია, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობას თავს არ ანებებს. ამას დაემატა ირანის მიერ განხორციელებული წვრთნები და მისი მუქარა, რომელშიც ორმუზის სრუტის გადაკეტვით იმუქრებოდა. ორმუზის სრუტე კი არა მარტო ირანში მოპოვებულმა ნავთობმა, არამედ მსოფლიოს ნავთობის მოხმარების 40 პროცენტმა უნდა გაიაროს. ევროკავშირმა ნავთობის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვის გარდა, ირანის ცენტრალურ ბანკთან ურთიერთობასა და ოქროთი ვაჭრობაზეც დააწესა შეზღუდვები.

## იაპონიაში მოძალადე სიკვდილით დასაჯეს

მანიაკი-მოძალადე და ქურდი-მკვლელი გუშინ იაპონიაში სიკვდილით დასაჯეს. ინფორმაციას ამის შესახებ იაპონიის იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, სულ მიმდინარე წლის განმავლობაში ქვეყანაში სიკვდილით დასჯილია 5 ადამიანი, მანამდე 20 თვის განმავლობაში სიკვდილით დასჯის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

ერთ-ერთი იმ ადამიანთაგან, რომელიც გუშინ სიკვდილით დასაჯეს 40 წლის მამაკაცია. 2002 წელს მან გაიტაცა და გააუპატიურა 19 წლის სტუდენტი გოგონა, რომელიც შემდეგ ცოცხლად დაწვა. მეორე ადამიანი, რომელიც ჩამოახრჩვეს, 31 წლის მამაკაცია, რომელმაც 2007 წელს ფულის გულისათვის თავისი ორი ნათესავი მოკლა.

იაპონია და აშშ მსოფლიოში ერთადერთი განვითარებული სახელმწიფოები არიან, რომლებიც სიკვდილით დასჯას იყენებენ. იაპონიისათვის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ სიკვდილით დასჯის მეთოდთან დაბრუნებას ქვეყნის იუსტიციის მინისტრი ტოსიო ოგავა საზოგადოებრივი აზრით ხსნის.

— მოსახლეობა მხარს უჭერს სიკვდილით დასჯას და მე ჩემი მოვალეობა უნდა შევასრულო, — აცხადებს მინისტრი. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ამჟამად სიკვდილი 130 ადამიანს აქვს მისჯილი. იაპონიაში სიკვდილით დასჯა იუსტიციის წინა მინისტრის მოთხოვნით შეჩერდა. წლის განმავლობაში საშუალოდ, 10-დან 15-მდე ადამიანს სიკვდილით სჯიან. საერთაშორისო სამართალდამცველი ორგანიზაციები იაპონიას მოუწოდებენ, გააუქმოს სასჯელის ეს უმაღლესი ზომა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იაპონელთა 80% მხარს უჭერს ქვეყანაში სიკვდილით დასჯის არსებობას.

## უკრაინის ცესკო ანდრეი შევჩენკოს საკითხს განიხილავს

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს, აქვს თუ არა უფლება ფეხბურთელ ანდრეი შევჩენკოს, უმაღლესი რადის არჩევნებში დეპუტატად იყაროს კენჭი, — განაცხადა ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ანდრეი მიგერამ. საქმე ის არის, რომ საარჩევნო კანონის თანახმად, დეპუტატობის კანდიდატი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს უკრაინაში. შევჩენკო კი 2009 წლამდე ინგლისსა და იტალიაში იმყოფებოდა.

— როგორც კი დოკუმენტებს მივიღებთ, მაშინვე ყველაფერს გავარკვევთ — ცხოვრობდა ეს ადამიანი უკრაინაში, თუ — არა, — აღნიშნა ანდრეი მიგერამ.

ანდრეი შევჩენკომ ორიოდე კვირის წინ განაცხადა სპორტული კარიერის დასრულებისა და პოლიტიკაში წასვლის თაობაზე. სპორტსმენი გაწევრიანდა პოლიტიკურ პარტიაში „უკრაინა — წინ!“ პარტიას უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, იულია ტიმოშენკოს ყოფილი თანაგუნდელი, ნატალია კოროლევსკაია უდგას სათავეში, რომელიც, ადგილობრივი მასმედიის ინფორმაციით, უკრაინის ქვანახშირის მომპოვებელ და მანქანათმშენებლობის აქტივებს აკონტროლებს. კოროლევსკაიამ საკუთარი პარტია მას შემდეგ დააფუძნა, რაც უმაღლეს რადაში იულია ტიმოშენკოს ბლოკის წევრმა დეპუტატებმა იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს. ანდრეი შევჩენკო პარტიულ სიაში მეორე ნომერი იქნება.

## ჰილარი კლინტონი სამხრეთ სუდანში ჩავიდა

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი სამხრეთ სუდანში ჩავიდა. იგი პირველი ამერიკელი მაღალჩინოსანია, რომელიც ქვეყანას დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეწვია. სამხრეთ სუდანი სუდანს 2011 წლის 9 ივლისს გამოეყო. ამ ნაბიჯმა ორივე ქვეყნის ეკონომიკას სერიოზული დარტყმა მიაყენა, რომელთა შემოსავლის დიდ ნაწილს ნავთობი წარმოადგენს.

ამ ქვეყნის გარდა, კლინტონი აფრიკის კიდევ 7 სახელმწიფოს ეწვევა.

სამხრეთ სუდანმა სუვერენული სტატუსი მიიღო 2011 წლის 9 ივლისს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე სუდანის მიერ ოფიციალურად აღიარების შემდეგ. ამავე წლის 14 ივლისს ახლადშექმნილი სახელმწიფო გაეროს 193-ე, ხოლო 28 ოქტომბერს იუნესკოს 194-ე წევრი სახელმწიფო გახდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ცhოფყღჯჰლბ



1. ლითონის დაჟანგვა, დაშლა; 2. არაკეთილხმოვანება; 3. ბუვიეს რომანი; 4. ბუნებრივი საღებავი; 5. „ორმაგი“ სახელმწიფო აზიაში; 6. ... კუროსავა; 7. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის; 8. ქალაქი ჯორჯიის შტატში; 9. ჩეხური ავტო; 10. მერიმეს ნოველა; 11. მთათა სისტემა ყაზახეთში; 12. „... დაიდარდო!“; 13. გეომეტრიის ნაწილი; 14. დამხმარე თეორემა; 15. ინდოელი კინორეჟისორი; 16. პატარა, გამხდარი გოგო; 17. რისამე სიდიდის მახასიათებელი; 18. იაპონური თეატრი; 19. პრინცესა ...; 20. დასამუშავებელი დეტალის ჩასამაგრებელი ხელსაწყო; 21. მატლი; 22. სამორინე; 23. ხელსაწყოს შემადგენელი ციფერბლატი; 24. მაუგლის მეგობარი გველი; 25. მესამე ნოტი; 26. დგამი; 27. იგავ-...; 28. დიმა ... (ტელეწამყვანი); 29. ტყის მსხალი; 30. ინგლისური ლუდი; 31. ტროპიკული მცენარე; 32. ჭადრაკის ფიგურა; 33. საიალქნე ძელი; 34. უბანი თბილისში; 35. ერთგვარი კანფეტი.

### ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ hჰჯცღჯჰლტ,ბც გფცეĺტ,ბ5

#### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბობი; 2. კოკაი; 3. გვარლი; 5. კოლიე; 6. ნორვეგიაში; 8. კონსილიუმი; 10. ლიქიორი; 12. პარკერი; 14. აპნისი; 15. მანილა; 16. სქური.

**თარაზულად:** 1. ბესიკი; 4. ოკარინა; 7. ტეკილა; 9. ლაზები; 11. ენერგია; 12. პრობაცია; 13. მიზერი; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

#### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სულორი; 2. ნივეა; 3. ტვისტი; 4 ჩუვაჩი; 6. ლალიონი; 9. მაცნე; 11. პიანინო; 15. ტონზილიტი; 16. კოდაკი; 17. კემერონი; 19. ომმეტრი; 21. მიჯნური; 22. მესეფი.

**თარაზულად:** 5. იუპიტერი; 7. ამირანი; 8. ღვინიო; 10. შარიათი; 12. ჩხუტი; 13. ოდიში; 14. აინშტაინი; 18. კონგო; 20. ჰოპერი; 23. რეზინი; 24. ჯაკო; 25. ბუერი; 26. ფეტა; 27. ბრუდერი.

# ნეაპოლის აეროპორტში კუჩმას დაცვის ყოფილი წევრი ნიკალაი მელნიჩენკო დააკავეს



ნეაპოლის აეროპორტში უკრაინის სახელმწიფო დაცვის ყოფილი მაიორი ნიკალაი მელნიჩენკო დააკავეს.

ამის შესახებ გამოცემა „ლევი ბერეგი“ თავად მელნიჩენკოს განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

დაკავება მას შემდეგ განხორციელდა, რაც მელნიჩენკო ვაშინგტონიდან ნეაპოლში ჩავიდა. სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებასთან დაკავშირებით, გადამდგარი მაიორის დაპატიმრების ორდერი კიევის სასამართლომ 2011 წლის შემოდგომაზე გასცა.

გამოცემის ინფორმაციით, დაკავებული უკრაინაში ექსტრადიციის პროცედურების გავლას დათანხმდა, რის შემდეგაც იგი საემიგრაციო საპყრობილეში გადაიყვანეს.

ნიკალაი მელნიჩენკო უკრაინის ექს-პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას მრავალი წლის განმავლობაში იცავდა. უკრაინის მაღალჩინოსნების საუბრების მის მიერ გაკეთებული აუდიოჩანაწერების საფუძველზე კუჩმასთან მიმართებით 2011 წლის დასაწყისში ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, უფლებამოსილების გადამეტების შესახებ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საბოლოოდ, საქმე დაიხურა, თავად მელნიჩენკო კი დოკუმენტების გაყალბებასა და სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებაში დაადანაშაულეს.

კუჩმას ყოფილი მცველი დაპატიმრებას გაექცა და აშშ-ში წავიდა, სადაც მას ადრე პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს. როგორც მელნიჩენკო აცხადებდა, უკრაინა დატოვა, რადგან მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

ჟურნალისტი გიორგი ღონღაძე 2000 წლის შემოდგომაზე გაიტაცეს და მოკლეს. მკვლელობის შემდეგ მალევე მელნიჩენკომ აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც ისმოდა, როგორ საუბრობდა კუჩმა ღონღაძის მოშორების აუცილებლობაზე.

გამოძიების ვერსიით, მკვლელობის მთავარი შემსრულებელი უკრაინის შსს-ს მაღალჩინოსანი ალექსეი პუკაჩი იყო. 2011 წლის აგვისტოში მან აღიარებითი ჩვენება მისცა.

გიორგი ღონღაძის სიკვდილთან დაკავშირებული გამოძიება გადაიზარდა ხმაურიან სკანდალში და პროტესტებში მაშინდელი უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ. ღონღაძის მკვლელების ძებნა დღემდე მიმდინარეობს, თუმცა მის სიკვდილთან დაკავშირებული ორი ადამიანი დააპატიმრეს 2005 წლის მარტში, ხოლო მესამე – 2009 წლის ივლისში.

მისმა ქვრივმა მიროსლავა ღონღაძემ და მათმა შვილებმა მიიღეს პოლიტიკური თავშესაფარი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ცხოვრობდნენ ამერიკაში 2001 წლამდე.

ევროპის საბჭომ მიიღო რეზოლუცია ნომერი 1645, რომელშიც მოუწოდა უკრაინის პროკურატურას, გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა გიორგი ღონღაძის მკვლელებისა და მკვლელობის ორგანიზატორების საპოვნელად.

# აჯანყებულები ალეპოს თითქმის აკონტროლებენ

„ალ-არაბიას“ ინფორმაციით, აჯანყებულები ალეპოს დიდ ნაწილს აკონტროლებენ. ბრძოლები ქალაქის ცენტრსა და მის შემოგარენში ისევ გრძელდება. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები მიდის იმ ცენტრალური მაგისტრალის დასაკავებლად, რომელიც ქალაქს დამასკოსა და სხვა ქალაქებთან აკავშირებს.

ასადის ჯარი პერმანენტულად ცდილობს შეტევების განხორციელებას, რათა აჯანყებულებისთვის მისი „წართმევა“ შეძლოს, თუმცა უშედეგოდ.

აჯანყებულთა პოლკოვნიკ აბდელ-ჯაბარ ალ-ოკაიდის განცხადებით, ასადის არმიაში ირანელი დაქირავებულები იბრძვიან.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, დიდი აფეთქება მოხდა სირიის დედაქალაქ დამასკოში. ზუსტი ინფორმაცია აფეთქების ან დაშავებულების შესახებ ჯერჯერობით არ ვრცელდება.

სააგენტოს ინფორმაციით, დიდი ბრძოლებია ისევ ქალაქ ალეპოში. არაბული სააგენტოების ინფორმაციით, მსხვერპლი როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს არის.

გუშინ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სირიაში უმოქმედობის გამო უშიშროების საბჭო გააკრიტიკა და მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომელიც სირიის ხელისუფლების გადადგომასა და კოალიციისთვის მართვის უფლების გადაცემას მოითხოვს. მართალია, გაეროს დოკუმენტს იურიდიული უფლებამოსილება არ გააჩნია, თუმცა მსოფლიოს ლიდერები მას ანგარიშს უწევენ.

სირიის შესახებ რეზოლუციის ავტორი საუდის არაბეთი გახლდათ.

– სირიაში ძალადობრივი ქმედებები ხდება, რომელიც, შესაძლოა, მიეკუთვნოს „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს“, ე.ი. სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ მკვლელობას. ამის შესახებ გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადა.

– ძალადობრივი აქტები იქ შეიძლება მიეკუთვნოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ, – განაცხადა პან გი მუნმა გაეროში სირიის საკითხზე კენჭისყრის წინ. მან პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე სირიის ხელისუფლებას დააკისრა.

რუსეთმა კი გაერო-ში სირიის შესახებ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა. რუსული მედიის ინფორმაციით, გაერო-ში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა სირიასთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციას საზიანო უწოდა და მხარი არ დაუჭირა.

გუშინ დამტკიცებულ რეზოლუციაში გაერო სირიის ხელისუფლებას მოუწოდებს, შეწყვიტოს მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენება და ქვეყნის ქალაქებიდან ჯარები გაიყვანოს.

ჩურკინმა განაცხადა, რომ ასეთი მოწოდება კიდევ უფრო გააღვივებს კონფრონტაციას და ხელს შეუშლის პროცესის პოლიტიკურ პლატფორმაზე გადაყვანას. გაერო-ს რეზოლუციას, რუსეთის გარდა, მხარი არ დაუჭირეს ბელორუსმა, ვენესუელამ, ინდოეთმა, ჩინეთმა, კუბამ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ.

# ლუკაშენკომ შვედეთის ელჩი ქვეყნიდან გააძევა



„როიტერის“ ინფორმაციით, ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ შვედეთის ელჩი სტეფან ერიკსონი ქვეყნიდან გააძევა. ამის შესახებ განცხადებას შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი აკეთებს. ბილდტის განცხადებით, „მიზეზები უსაფუძვლოა“, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელჩს ქვეყნის დატოვება იმიტომ მოუხდა, რომ იგი ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების დაცვით გამოვიდა.

ბელორუსიის მხარეს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ალექსანდრე გრიგოლის ძე ლუკაშენკო ბელორუსიის პრეზიდენტია 1994 წლიდან. პოლიტიკაში მოსვლამდე ლუკაშენკო – სამხედრო ოფიცერი, შემდეგ კი რამდენიმე საწარმოს დირექტორი იყო.

დაამთავრა მაგილევის პედაგოგიური ინსტიტუტი (1975 წ.). ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი.

2010 წლის 19 დეკემბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების 79,65%-თ არჩეულ იქნა პრეზიდენტად მეოთხე ვადით. ეუთო-მ, აშშ-მ და ევროკავშირმა არ ცნეს არჩევნების შედეგები, საპირისპიროდ, დსთ-ის დამკვირვებლებმა ჩატარებული არჩევნები პოზიტიურად შეაფასეს.

# ამერიკული ავიამზიდი სპარსეთის ყურეში შევიდა

ამერიკული ავიამზიდი სპარსეთის ყურეში შევიდა, – იუწყება „ინტერფაქსი“.

წყაროს ცნობით, სპარსეთის ყურის არაბეთის ზღვასთან დამაკავშირებელი ორმუზის სრუტის აღმოსავლეთით ატომურ ავიამზიდ „ენტერპრაიზის“ მეთაურობით საავიაციო დამრტყმელი ჯგუფი მორიგეობს.

აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, აშშ პასუხს მოსთხოვს ირანს სპარსეთის ყურეში ნავთობის ტრანსფერის ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობის გამო და წინააღმდეგობას გაუწევს მის განზრახვას, ნავთობით ვაჭრობის მთავარი საზღვაო არტერია გადაკეტოს.

21 ივლისს ირანის პარლამენტის (მეჯლისის) წევრების ნახევარზე მეტმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს ორმუზის სრუტის გადაკეტვაზე, რომლის მეშვეობითაც ნავთობის მსოფლიო გადაზიდვის დაახლოებით 35 პროცენტი ხორციელდება.

ეს სრუტე სპარსეთის ყურეს ინდოეთის ოკეანესთან აკავშირებს, რომელსაც ორი სახელმწიფო – ირანი და ომანი ესაზღვრება.

ირანი დასავლეთთან დაპირისპირების გამო ორმუზის სრუტის დახურვით დაიმუქრა. ამ სტრატეგიული სანაოსნო გზის დახურვა ნავთობზე ფასების გაზრდას გამოიწვევს, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს მსოფლიო ეკონომიკაზე.

დასავლეთმა უკვე შემოიღო ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები ამ ქვეყნის ბირთვული პროგრამის გამო, მიუხედავად თეირანის მტკიცებისა, რომ ეს პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

საერთაშორისო ანალიტიკოსების აზრით, ორმუზის სრუტის დახურვა ყველაზე უფრო ირანს დააზარალებს. ირანის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე და სანქციები ამ ქვეყნის ვალუტის გაუფასურებასა და ინფლაციას გამოიწვევს.

როგორც ამერიკელი ექსპერტი შონ ევერსი აცხადებს, ირანი არ შეასრულებს თავის მუქარას: „უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეს რეგიონი პერმანენტული დესტაბილიზაციის პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ ორმუზის სრუტე ნაოსნობისთვის არასოდეს დაკეტილა“.

კიდევ ერთი ანალიტიკოსის, საიმონ უორდელის აზრით, ნავთობსადენები ვერ შეძლებენ საზღვაო გზით ნავთობის ექსპორტის შეწყვეტის შემთხვევაში დანაკარგების ანაზღაურებას, რადგან ამ რეგიონის ქვეყნებიდან ყოველდღიურად 17 მილიონი ბარელი ნავთობი გადის საზღვაო ტანკერების საშუალებით, რისი კომპენსაციაც ნავთობსადენებს არ შეუძლიათ. უორდელის განცხადებით, დასავლეთი არ დაუშვებს ორმუზის სრუტის დიდი ხნით გადაკეტვას. მისი თქმით, ეს ყველას ინტერესებშია. ჩინეთი, ამერიკა და ევროპა დაინტერესებული არიან, რომ ორმუზის სრუტე ღიად დარჩეს სანაოსნოდ“.

ყოველდღიურად 17 მილიონი ბარელი ნავთობი ორმუზის სრუტის გავლით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისკენ მიემართება. ამ სანაოსნო გზის უსაფრთხოებას შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი იცავს.

# ფეისბუქზე 83 მილიონი ყალბი პროფილია




ამერიკის ფეისბუქის კომპანიის განცხადებით, სოციალურ ქსელში 83 მილიონი ყალბი პროფილი და მილიონობით გვერდია, რომლებსაც კომპანია მიუღებლად თვლის. ეს ინფორმაცია კომპანიის მიერ საფინანსო რეგულატორებისთვის მომზადებულ განაცხადშია შესული.

კომპანიის ინფორმაციით, სოციალური ქსელის მომხმარებელთა 8,7% არარეალურია. მომხმარებელთა 2,4% სოციალური ქსელის გვერდებს თავისი ბიზნესისთვის იყენებს, ხოლო 14 მილიონი არასასურველი პროფილი სწორედ აკაუნტებზე მოდის, რომლებიც ფეისბუქის პირობებს არღვევენ.

ფეისბუქი სოციალური ქსელია, რომელსაც ფლობს „ფეისბუქ აიენსი“. მომხმარებლებს შეუძლიათ დაამატონ მეგობრები და გაგზავნონ მესიჯები, შექმნან და განაახლონ თავიანთი პერსონალური პროფილები, რათა მის შესახებ მეგობრებს შეატყობინონ. ამასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია, ქსელს ქალაქის, სამუშაო ადგილის, სკოლის ან რეგიონის მონაცემების მიხედვით შეუერთდეს.

ფეისბუქი მარკ ცუკერბერგმა კოლეჯის მეგობრებთან და საინფორმაციო მეცნიერების სტუდენტებთან, ედუარდო საავერინსა, დასტინ მოსკოვიცსა და კრის ჰაგისისთან ერთად ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტობის დროს დააარსა.

# ეგვიპტეს ახალი მინისტრთა კაბინეტი ჰყავს

გუშინ ეგვიპტის ახალი პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა გახდა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ჰეშამ კანდილს 7 მინისტრი ყოფილ პრემიერ კამალ განზურის მინისტრთა კაბინეტიდან ჰყავს. მათ შორის არიან საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

უცვლელი დარჩა ქვეყნის თავდაცვის მინისტრიც, თავად განზური კი მურსის მრჩევლად დაინიშნა. პრეზიდენტის გუნდიც მალე გახდება ცნობილი. როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ახალ კაბინეტში ცვლილებების დანახვა ძნელია. კაბინეტს მრავალფეროვნება აკლია, განსაკუთრებით – რელიგიური და გენდერული თვალსაზრისით.

თუმცა, როგორც თავად პრემიერი აღნიშნავს, კაბინეტის დაკომპლექტებისას კომპეტენტურობის კრიტერიუმით იხელმძღვანელეს.




# სამეფო ქველმოქმედება

მონაკოს პრინცი ალბერ მეორე და მისი მეუღლე შარლენი არა მარტო თვალს ადევნებენ ოლიმპიადის მსვლელობას და გულშემატკივრობენ თანამემამულე სპორტსმენებს, არამედ მათ ყოველთვის აქვთ დრო საქველმოქმედო წვეულებების გამართვისათვის საკუთარ მამულში.

გუშინ მეუღლეები დაესწრნენ 64-ე „რედ ქროს ბოლის“ წვეულებას, რომელიც მონტე-კარლოში გაიმართა. ეს საქველმოქმედო წვეულება ყოველწლიურად იმართება პრინც ალბერის პატრონაჟით.

წვეულება მუსიკალურად გააფორმა ლეგენდარულმა „სკორპიონსმა“, რომლებმაც ყველა ცნობილი ჰიტი შეასრულეს. პრინც ალბერი და მისი მეუღლე საცეკვაო მოედნის მთავარი გმირები იყვნენ.

მონაკო დამოუკიდებელი ჯუჯა-სახელმწიფოა სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-ცენტრალურ სანაპიროზე. მას სამი მხრიდან ესაზღვრება საფრანგეთი. მონაკოს ცენტრი 16 კილომეტრითაა დაშორებული იტალიის საზღვრიდან. ფართობია 1.98² კილომეტრი, მოსახლეობა შეადგენს 35,986 კაცს (2011 წლის მონაცემებით).

მონაკოს ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ტურიზმი. ყოველწლიურად მრავალ ტურისტს იზიდავს მისი კაზინოები და სასიამოვნო კლიმატი (მონაკოს მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, მიიღონ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა, ანუ აკრძალული აქვთ კაზინოში თამაშიც).

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 6 აგვისტო

08.00 დოკ. ფილმი "ჩაცმის თავისუფლება". 09.00 ანიმაცია. 10.30 მხ. ფილმი "**შავწვერა**". 12.00, 16.00, 20.00, 03.00 მოამბე 13.00 არენა. 13.40 **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) 21.00 არენა. ოლიმპიური დღიური. 21.40 **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) 23.30 მედიამონიტორი. 00.30 **ოლიმპიადა**. სპორტული სახეობები (პირდ.) 02.30 საფარი 03.20 მხ. ფ. "**შეუსრულებელი მისია** (15) (ტ. კრუზი) 05.20 მხ. ფილმი "**ნაფოტი**" (შ. სტოუნი)

08.00 დოკ. ფილმი "ბრძოლა ევერესტის დასაპყრობლად". 09.00 მხ. ფილმი "**მთვრის ყურის მეფე-დედოფალი**" 10.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები". 11.00 მხ. ფ. "**დესტინი რადიოს რთავს**" (ჯ. ბელუში) 12.45 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები". 13.15 მხ. ფ. "**ნიანგი დანდი**" 14.45, 17.45, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 ოლიმპიური არენა. 16.40, 20.00, 01.00 **ოლიმპიადა 2012**. 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 02.00 ოლიმპიური არენა. 02.30 მხ. ფ. "**შეუსრულებელი მისია**". (ტ. კრუზი)

08.00 ან. ფილმი "კუ ნინძების ახალი თავგადასავალი" 6-სერ. 08.30 ან. ფ. "ვინი პუხის ახალი თავგადასავალი" 6-სერ. 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50, 05.00, 07.00 ქრონიკა 09.10 სერ. "**გმირები 3**" 10.00 სერ. "**მოპარული ბედნიერება**" 11.30 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.30 ფორტ ბოიარი. 13.00 სერ. "**რომი**" 1-სერ. 14.40 ქართ. სერ. "**მტვრის გემო**" 1-სერ. 15.40 სერ."**მოჯადოებული**" 1-სერ. 17.40 სერ. "**მეწამული ცა**" 18.40 სერ. "**შურისძიების სახელით**" 21.00 სერ. "**მემკვიდრეები**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 ქართ. დოკ. ფ. "ქართული აგვისტოს ქრონიქები". 00.00 მხ. ფილმი "**რემბო 3**" 00.25 ქალური ლოგიკა. 03.25 მხ. ფ. "**მინდა გახსოვდე**" 05.30 მხ. ფილმი "**სამართლიანობისთვის მებრძოლი**" (12) (ს. სიგალი) 07.15 მუსიკა.

07.30 MTV CRIBS 08.00 MTV ROOM RAIDERS 08.30 MTV MY SUPER SWEET 09.00 MTV MADE 09.30 MTV LAGUNA BEACH 10.00 სერ. "**დედის გული**" 11.00 სერ."**ეჭვი და სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 ქარ. მხ. ფილმი "**ვერის უბნის მელოდიები**". 14.00 შერეკილები 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "**ტერეზა**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 19.50 სერ. "**ველური ყვავილი**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 მხ. ფილმი "**დურაკოვო**" 01.00 MTV PUNK'D 01.30 MTV Boyling Points 02.00 MTV True Life 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია". 08.55 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."**ჯეკი და ლობიოს ხე**" 13.00 მხ. ფილმი 15.15 პულსი 15.45 ან. ფილმი "პეტსონი და ფინდუსი 1" 17.10 სერ. "**ელიზა და რივომბროზა**" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "**ტყუპები**" 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი 01.50 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 16.00 დოკ. ფილმი "სამოთე დედამიწაზე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "**საგა**" 12.50, 19.35 სერ. "**სენიორა პრეზიდენტი**" 13.50 1000 წვრილმანი. 15.15 დოკ. ფილმი "დედამიწის საგან ური" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფიდმი "**უშიშარნი**" 00.30 მხ. ფილმი "**სულის არსებობა**"

**ერთსულოვნება** 08.30 მულტსერ. "კეროტის თავგადასავალი". 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი. 09.05 განთიადი. 10.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15 პატრიარქის ქადაგება 10.35, 21.15 ლექსით ქებათა ქება. 10.40 კვირიაკე. 12.10 მხ. ფილმი "**შერეკილება**". 13.35 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 სპექტაკლი "**ბამბაზის სამოთხე**". 17.10 დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". 17.30 დოკ. ფ. "ველური ბუნება". 18.10 გუთნისდედა. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი. 19.20 მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" 1-სერ. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.20 საღვთისმეტყველო საუბრებიყ 22.25 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ. ფილმი "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" 6-ნაწ. 23.40 ჩვენი ფონდი. 00.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 agvisto

აშშ დოლარი — 1,6597

ევრო —2,0152

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 32–31, ღამით — 18–22;
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25–33, ღამით — 21–23;
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25–26, ღამით — 12–16;

## ამინდის პროგნოზი 6 აგვისტოსთვის




## იუმორი



❖ ❖ ❖

– იცით თუ არა, რომ თოვლის თითოეული ფიფქი უნიკალური და განუმეორებელია, მაგრამ ამით არ ტრაბახობს...

❖ ❖ ❖

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:
– უკვე ზაფხულიც დადგა, შენ კი ეგ ღიპი ვერ მოგიშორებია
– ეს ღიპი კი არა, ტორტების ერთგულების სარტყელია...

❖ ❖ ❖

– თავიდან გიხარია, რომ ლეპტოპით და აიპადით ყველგან შეგიძლია იმუშავო, მერე კი ხვდები, იძულებული ხარ, ყველგან იმუშავო...

❖ ❖ ❖

– ლუდს, ღრიალსა და მამაკაცებს ღვინო, დუდუკი და ქალები მირჩევნია...

❖ ❖ ❖

– კარგი ადამიანები იმისთვის არიან საჭირო, რომ ცუდებმა უფრო კარგად იცხოვრონ...

❖ ❖ ❖

– მედიცინის შესაძლებლობები უსაზღვროა, საზღვარი მხოლოდ პაციენტის შესაძლებლობებს აქვს...

❖ ❖ ❖

– ორსულობის დასაწყისი ნამდვილად შესანიშნავი იყო...

❖ ❖ ❖

– მაპატიეთ, შეიძლება, რომ სიგარეტი არ მოწიოთ?
– გპატიობთ...

გ.თ.

## სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნე“ აცხადებს მიღებას:

- ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური)
- ტუროპერატორი (III, IV, V საფეხური)
- გიდი (I, II, III, IV საფეხური)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (III საფეხური)
- ბუღალტერი (III, IV, V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით საბაზო (9-კლასდამთავრებულები) და საშუალო (12-კლასდამთავრებულები)

IV-V საფეხურზე შემომსვლელებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა „ზოგად უნარებში“

მისამართი: თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №10, V სართ. ტელ.: 231 79 40, 231 79 41, 555 76 77 22, 599 33 53 92

## ქეცბაიამ შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 15 აგვისტოს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ლუქსემბურგში ჩაატარებს. თემურ ქეცბაიას გუნდი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო ამხანაგური მატჩისთვის მზადებას 13 აგვისტოს დაიწყებს. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ამხანაგური თამაშისთვის 21 ფეხბურთელი გამოიძახა. ლუქსემბურგსა და საქართველოს შორის საფეხბურთო დაპირისპირება 15 აგვისტოს, თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.



მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო), ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი)

მცველები: გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურა ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (სამსუნი, თურქეთი)

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (კრივბასი, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა), სანდრო გურული (დილა)

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ნიკოლოზ გელაშვილი (ბოხუმი, გერმანია), მათე ვაწაძე (დილა, გორი), ირაკლი სირბილაძე (ინტერი, ფინეთი).

მ. ჟ.

## გიგა კუხიანიძე საბავშვო ევროვიზიის ქართველ კონკურსანტებთან იმუშავებს

ეკა ირემაშვილი

**სტუდია 'ბზიკების' მფლობელი და პროდიუსერი გიგა კუხიანიძე წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენელ ჯგუფთან იმუშავებს. ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა მიიღო.**



გიგა კუხიანიძე 2012 წლის საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფის საკონკურსო სიმღერაზე ბავშვებთან ერთად იმუშავებს. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელი ნათია უზნაძე განმარტავს, პროდიუსერი გიგა კუხიანიძე საბავშვო ევროვიზიასთან უკვე ოთხი წელია თანამშრომლობს და წარმატებული პროდიუსერია. ის საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფების ,,ბზიკებისა“ და ,,ქენდის“ მუსიკალური ხელმძღვანელი იყო. ჯგუფი ,,ბზიკები“ 2008 წლის, ხოლო ჯგუფი ,,ქენდი“ 2011 წლის საბავშვო ევროფესტივალების გამარჯვებულები გახდნენ. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, წლევანდელმა ჯგუფმაც გიგა კუხიანიძესთან იმუშაოს.

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2012 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლის გამოსავლენად შიდაშესარჩევი კონკურსი ივნისში გამოაცხადა, რომელშიც კონკურსის ორგანიზატორებმა მიიწვიეს ნიჭიერი ბავშვები მთელი საქართველოდან. კონკურსში მონაწილეთა ასაკი განისაზღვრა 10-დან 15 წლამდე. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა წარედგინათ ფოტო, ბიოგრაფია და სიმღერა საკუთარი რეპერტუარიდან. განაცხადების მიღება კი 29 ივნისს შეწყდა.

როგორც ნათია უზნაძე განმარტავს, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის „ევროვიზია ჯუნიორი“ წარმატებული აღმოჩნდა. საქართველო საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული მეორედ გახდა. 2011 წელს საქართველოს წარმომადგენელმა ჯგუფმა „ქენდიმ“ სიმღერით „ქენდი მიუზიკ“, ხოლო 2008 წელს ჯგუფმა „ბზიკებმა“ სიმღერით „ბზზ“ გამარჯვება მოიპოვეს.

საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ კონკურსის მეორე ტური – მოსმენა გაიმართა. ევროვიზიის შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა, კონკურსანტებიდან საუკეთესოები შეერჩია და შეექმნა ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც საქართველოს 2012 წლის საბავშვო ევროფესტივალზე წარადგენდნენ. ჯგუფის წევრები კომპოზიტორის დახმარებით ეროვნული კონკურსისთვის რამდენიმე სიმღერას მოამზადებდნენ. საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს საკონკურსო სიმღერა ფინალური კონცერტის შედეგად უნდა გამოვლენილიყო. ეროვნული კონკურსის ფინალი კი სექტემბერში დაინიშნა, თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა საბავშვო ევროვიზიისთვის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

სექტემბრიდან

,,ახალ თაობასთან“

ე რ თ ა დ

სათავგადასავლო ბიბლიოთეკა

მრავალტომეული

საკოლექციო გამოცემა

## fcnhjghjuyjp

.დტაფვ უფბსლდფაბცობყტს=

^ ფვებცნხცსებც

**ვერძი** – დასახულ მიზანს უთუოდ მიაღწევთ. იაქტიურეთ. **კურო** – საქმიანი და ნაყოფიერი დღე გელით. დროს ნუ დაკარგავთ. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. ფინანსურად გაძლიერდებით. **კირჩხიბი** – საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. ნუ გადაიღლებით. **ლომი** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ალკოჰოლსა და სიგარეტს. **სასწორი** – დღეს საწინააღმდეგო სქესის დიდ ინტერესს დაიმსახურებთ. **ღრიანკალი** – საინტერესო წინადადებაზე უარს ნუ იყტვით. ეს თქვენი შანსია. **მშვილდოსანი** – ფულს შოულობთ. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – სასიყვარულო ურთიერთობაში წარმატება გელით. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტს ახლობლებთან. **თევზები** – საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ.

უბცეჰდტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=

## hჰxცდxჰლბ ფ

**თარაზულად:** 1. მუდმივი მყიდველი; 3. მგალობელი ფრინველი; 8. თაღედი; 10. წმინდად დაკეპილი ხორცისგან დამზადებული საჭმელი; 11. ... და ოდილია; 12. ნეტარება ბუდიზმში; 14. მინერალური წყალი; 15. სტენლი ... ამერიკელი კინორეჟისორი; 16. ხელმეორედ გადაღებული კადრი კინოში; 19. პირველი ფილოსოფიური სკოლა ძველ საბერძნეთში; 20. წნელის ღობე; 21. დიდი ხვლიკი.

**შვეულად:** 1. ბალაგანის მსახიობი; 2. ჭილოფის საჭიდაო ხალიჩა; 3. მონარქიული სახელმწიფო; 4. უფერო, უსუნო გაზი; 5. ნავთობიდან მიღებული ორგანული ნაერთი; 6. დაცლილი ვაზნა; 7. პატაკი (ძვ.); 9. კატარღა; 13. თამაში ხის ბურთებით; 17. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე; 18. წილი ბიზნესში.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

